ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



გვ.5

**მოსამართლე ნიკა გვარამიასთვის განაჩენის გამოტანას ჩქარობს და შემაჯამებელი სიტყვისთვის 2 დღეს აძლევს**

**ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმეზე კიდევ ერთი პირი დააკავეს**



გვ.5

პარასკევი, 25 თებერვალი, 2022 №40 (8818) ფასი: 60 თეთრი

# „პუტინმა ომი ამერიკასაც გამოუცხადა“



გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ასე, პირდაპირ კიევს თუ დაბომბავდა, არ მეგონა“



## „ზუსტად იგივე საფრთხის ქვეშა ვართ, რაც უკრაინაში ხდება“

## სალომე სამადაშვილი: „ის, რაც უკრაინაში ხდება, არ არის სხვისი ომი“



გვ.3



გვ.3

## „უკრაინელების წინაშე ვალი გვმართებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ რუსეთი უკრაინას გადაყლაპავს, ხომ წარმოგიდგენიათ, რას უზამს საქართველოს“

## „პატრიოტთა ალიანსის“ პუტინისადმი მიმართვა შეურაცხმყოფელია საქართველოსთვის“



გვ.4

გიორგი გაჩეჩილაძე: „პუტინი მსოფლიოსაც ემუქრება. რაც მან ჩაიდინა, რუსეთს აუცილებლად მიუტრიალდება“

## რუსული კომპანიების აქციების ვარდნა გრძელდება




გვ.3



გვ.2

## დონეცკში რუსული ჭურვები კლინიკასთან ჩამოვარდა

ISSN 1987-9385

4 აზერბაიჯანი „ოდკბ“-ში შესვლას არ გეგმავს

5 მორჩილ ვაჟა გიგოლაშვილს პატიმრობა შეეფარდა

5 ვახტანგ გომელაური ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს შეხვდა

6 ჯონსონი: „რუსეთის წინააღმდეგ მასშტაბური ეკონომიკური სანქციები დაწესდება“

# „პუტინმა ომი ამერიკასაც გამოუცხადა“

## შალვა ხაჭაპურიძე: „ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ასე, პირდაპირ კიევს თუ დაბომბავდა, არ მეგონა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.**



***– ბატონო შალვა, მსოფლიო შოკირებულია იმით, რაც დღეს უკრაინაში ხდება. რა რეალობის წინაშე გავიღვიძეთ?***

– პირველ რიგში, ფულმა და ძალაუფლებამ პუტინი მიიყვანა იმ სიტუაციამდე, რომ აბსოლუტურად დაკარგა რეალობის შეგრძნება. იგი იმყოფება ღრმა საბჭოეთში. ლენინი რომ ცოცხალი იყო, აი, იმ პერიოდშია. წარმოუდგენელი რაღაც ხდება, წარმოუდგენელი, 21-ე საუკუნეში.

***– ლამის არის მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს.***

– ფაქტიურად, ჩათვალეთ, რომ მესამე მსოფლიო ომი დაიწყო. პუტინი რას აკეთებს, ეს საინტერესო აღარაა, ის ყველაფერზე წამსვლელია. ახლა ჩვენ უნდა ვნახოთ, რას აკეთებს დასავლეთი.

***– ბევრი ამბობს, რომ ზედმეტად ფრთხილობს დასავლეთი. ასეა?***

– დიახ. ვიღაც 300 გამოშტერებული დეპუტატისთვის სანქციის დაწესება, ვის რაში აინტერესებს. დასავლეთში კი არა, თავად რუსეთში არავის აინტერესებს ეს 300 დეპუტატი. ეს სანქციები არ არის საკმარისი, რა თქმა უნდა. უშუალოდ პუტინს უნდა დაუწესდეს სანქციები, ყველაზე მთავარი არის, საქართველოს და უკრაინას უნდა მიეცეს მაპი დაუყოვნებლივ! ნატოს ჯარები შეყვანილი უნდა იქნას საქართველოშიც და უკრაინაშიც. აი ეს არის ერთადერთი რამ, რაც გააჩერებს პუტინს. სხვა პუტინის გამჩერებელი ვერაფერი ვერაა.

***– როგორ ფიქრობთ, ეს გააჩერებს? თუ უფრო გააბრაზებს?***

– რა თქმა უნდა, გააჩერებს. პუტინი უკრაინის მერე მიადგება ბალტიისპირეთის ქვეყნებს და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, თუ ასე გაგრძელდა, გადავა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე.

***– ჩვენ რამდენად მოგვიბრუნდება?***

– ჩვენთან რა სიტუაციაა, გარკვეული პოლიტიკური ძალები აკეთებენ უაზრო განცხადებებს, მოსკოვის პროსპექტს დავარქვათ კიევის პროსპექტი და მსგავსი სისულელეები. არაფრის გამო რომ უნდა გამოიწვიო ამხელა დათვის გაღიზიანება. ჩვენ დღეს უნდა ვიყოთ წყნარად.

***– ბევრი აკრიტიკებდა ხელისუფლების პოზიციას, ენის მოჩლექით ელაპარაკება რუსეთსო, მაგრამ როდესაც ასეთი მეზობელი გყავს და 40 კილომეტრში მისი ჯარი გიდგას, გაქვს სხვა გამოსავალი?***

– ვინც ხელისუფლებას აკრიტიკებდა, იმათი მიზანი და სურვილი არის, რომ თავის დროზე, როცა ვერ შემოიყვანეს რუსული ჯარი ბოლომდე საქართველოში, ახლა უნდათ, რომ შემოიყვანონ. მაგათი მიზანი კარგად ვიცით ჩვენ და ეს კინო გვინახავს რამდენჯერმე. ამ შემთხვევაში ძალიან სწორედ მოიქცა ხელისუფლება და ზოგადად ამ ფონზე ნაკლები გამაღიზიანებელი განცხადება უნდა გააკეთოს. წყნარად, მშვიდად უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება, თორემ ერთს მოტრიალდება და პირდაპირ თბილისში იქნება ტანკები. შემოსაყვანი არ ყავს და არაფერი. 40 კილომეტრი აქვს გასავლელი. მერე ნაციონალური მოძრაობის ლიდერები გვიშველიან თუ რა უნდა გავაკეთოთ?! დღევანდელი „ქართული ოცნების“ პოლიტიკა ასე თუ ისე გამართლებული და სწორია. ვინ არის ჩვენი დამხმარე, მითხარით ერთი, ვინ ამოიღებს ხმას? უკრაინას რაც დაეხმარნენ, იმის მეათედს არავინ დაგვეხმარება.

### „ზუსტად იგივე საფრთხის ქვეშა ვართ, რაც უკრაინაში ხდება“

***– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა უკრაინას ნატოს ჯარის გარდა ვერავინ და ვერაფერი უშველის?***

– რა თქმა უნდა, ვერაფერი. თუ ესენი ახლა იარაღს შეიტანენ, ჩათვალეთ, რომ უკრაინა ჩართულია მრავალწლიან ომში და განწირულია ეს ხალხი, როგორც ავღანელებს გაუკეთეს, ის სიტუაციაა მოსალოდნელი. რადგან ამაზე წავიდა რუსეთი, ის ასე მარტივად აღარ გაჩერდება. უკრაინის ჯარს რომ რუსეთი მოერევა, ამაში ორი აზრი არ არსებობს. უკრაინამ ახლა შექმნა არმია და რუსეთს რამდენი წელია ჰყავს. ამიტომ ნატოს ჯარი უნდა შევიდეს უკრაინაში, მხოლოდ ესაა გამოსავალი. ასევე, ნატოს ჯარი საქართველოშიც.



***– ზედმეტი თავის ტკივილი ხომ არ არის დასავლეთისთვის საქართველო და უკრაინა?***

– აქ უკვე საკითხი უკრაინასა და საქართველოში არ დგას. პუტინის განცხადებებს თუ უსმენთ, მან ომი გამოუცხადა ამერიკას. პირდაპირ ამერიკის წინააღმდეგ იბრძვის. ოღონდ ეს ყველაფერი ხდება უკრაინის ტერიტორიაზე. ბუნებრივია, ეს უნდა იცოდეს ამერიკამ. პუტინმა როგორ უნდა მოუგოს ამხელა ამერიკას?!

***– ატომური იარაღის ეშინიათ და ამიტომ ფრთხილობს დასავლეთიო. ასეა?***

– ატომურისაც ეშინია და ისედაც, 21-ე საუკუნეში ნორმალურ ადამიანს ომი უნდა?! თუნდაც არ ჰქონდეს ატომური იარაღი, ამდენ მილიონიანი არმია ჰყავს. რა დროს ომია, ხალხო, 21-ე საუკუნეში, ვის უნდა ამ ეპოქაში ომი?! მაგრამ არ ასვენებს ამ პუტინს გამჩენი!

***– რის დამტკიცებას ცდილობს, რომ ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა?***

– ჯერ ერთი, ეგეც არის და მეორეც, მან დაინახა, რომ რეალურად უკრაინა წავიდა დასავლეთისკენ. გარდა ამისა, არჩევნები ელოდება წინ, ისედაც დასუსტებული აქვს პოზიციები და ახლა ცდილობს, ამ გზით მოიპოვოს მხარდაჭერა.

***– ყველა არჩევნების წინ ომი წამოიწყო...***

– კი, ასეა. სწორედ ამას ემსახურება მისი ქმედებები, რომ სამუდამოდ იჯდეს იმ თავის სკამზე. მოსახლეობაში მისი რეიტინგი ძალიან დაბალია. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ასე, პირდაპირ კიევს თუ დაბომბავდა, არ მეგონა. ავადმყოფია ეს კაცი და რა გითხრათ. ეს პოლიტიკური ძალა, რომელიც დღეს რუსეთის ხელისუფლებაშია, უნდა გასამართლდეს ჰააგაში, ისე, როგორც მოხდა ნიურბერგის პროცესი.

***– რა პროცესები შეიძლება განვითარდეს ჩვენთან დაკავშირებით? ვინმე ამის გამო მართლა მოგვცემს მაპს? ასე ფიქრობთ?***

– ზუსტად იგივე საფრთხის ქვეშა ვართ, რაც უკრაინაში ხდება. ეს წლების წინ ერთხელ უკვე გავიარეთ. ასე დაგვბომბეს ჩვენც. ამ საფრთხის წინაშე კიდევ ვდგავართ. დასავლეთი ამ ყველაფერს უდგება იმ ცივილიზაციის გადმოსახედიდან, რა ცივილიზაციასაც მსოფლიომ მიაღწია 21-ე საუკუნეში. დასავლეთმა ვერ გაიგო, რომ რუსეთს მართავს მონღოლთა შთამომავალი. პუტინი არის მონღოლების შთამომავალი. რატომ ვერ მიხვდა დასავლეთი, რომ მათთან ცივილურ ენაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან შუა საუკუნეების ხალხთან აქვთ საქმე. მონღოლებთან რაიმე დიპლომატიურ ენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი? – რა თქმა უნდა, არა. არც ამათთან არ შეიძლება. 400 წლის განმავლობაში რუსებს გადაუარეს მონღოლებმა და გენეტიკა გადაუკეთეს. ესენი არიან მონღოლთა ურდოს შთამომავლები! რაც გააკეთეს მონღოლებმა, იმას იმეორებს პუტინიც. ხალხი მარსზე აპირებს ცხოვრებას და ეს ავადმყოფი გამოვარდა და ტანკებით დარბის შუა ევროპაში!

***– საუბრობთ, რომ საკმაოდ მოზომილი პოლიტიკის გატარება მართებს საქართველოს ხელისუფლებასო. ოპოზიცია რამდენად წავა ამაზე? მათ სჩვევიათ პროვოკაციული განცხადებები. გამოიჩენენ სიფრთხილეს?***

– ოპოზიციას, დღეს არანაირი ძალაუფლება არ გააჩნია. არანაირი რეიტინგი არა აქვთ, რომ იტყვიან, პულსი არ იზომება მაგათი. 15 კაცის გამოყვანას ველარ ახერხებენ ქუჩაში. ლიდერი ციხეში ჰყავთ და არიან შავ დღეში. ბარამიძე უკრაინაშია და სხვასაც თუ უნდა, ჩაიცვან ფორმა, წავიდნენ, იომონ. რომელ მხარესაც უნდა, იმ მხარეს იომონ, ჩვენ მაგაზე არ ვინერვიულებთ. ამ ქვეყანაში მაგათი ფასი კაპიკია.





# დონეცკში რუსული ჭურვები კლინიკასთან ჩამოვარდა

## დაიღუპა 4, დაშავდა 10



დონეცკის ოლქის ქალაქ უგლედარში რუსული სამხედრო ჭურვები საავადმყოფოს ტერიტორიაზე ჩამოვარდა, დაიღუპა 4 და დაშავდა 10 მშვიდობიანი მოქალაქე.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ დონეცკის სამხედრო-სამოქალაქო სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პაველ კირილენკომ ფეისბუქში დაწერა.

„უგლედარში რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა 4 ადამიანი მოკლეს და 10 დაჭრეს. დაჭრილებს შორის 6 ექიმია“, – წერს კირილენკო.

მისი თქმით, დაჭრილების მდგომარეობა სხვადასხვა სიმძიმისაა.

# ნინო სუხიშვილი: „ვცდილობთ, უკრაინიდან პოლონეთში ავტობუსებით გადავიდეთ და იქიდან გამოვფრინდეთ“



ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილების“ ხელმძღვანელი, ნინო სუხიშვილის ინფორმაციით, ნაციონალური ბალეტი უკრაინაში გასტროლებს წყვეტს და საქართველოში ბრუნდება.

როგორც სუხიშვილი ვიდეო მიმართვაში აღნიშნავს, დასავლეთ უკრაინაში, ქალაქ ლუცკში იმყოფებიან, საიდანაც პოლონეთის საზღვრამდე ავტობუსებით გადაინაცვლებენ.

– ჩვენ ვიმყოფებით ქალაქ ლუცკში, დასავლეთ უკრაინაში. დღეს უნდა დაგვეწყო გასტროლები ამ ქალაქიდან და უნდა ვყოფილიყავით აპრილის თვემდე უკრაინაში. მაგრამ გამომდინარე იმ ქმედებებიდან, რაც ჩაიდინა რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ, იძულებულები ვართ, დავტოვოთ ქვეყანა.

გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა, სრული მობილიზაციაა, ვცდილობთ, გადავიდეთ პოლონეთის საზღვარზე ავტობუსებით და ვეცდებით იქიდან გამოფრენას, იმედია, მშვიდობიანად დაგიბრუნდებით. მადლობა ჩვენს დიპლომატიურ კორპუსს, სამინისტროებს, რომლებიც გვერდით გვიდგანან და გვეხმარებიან, მშვიდობიანად გამოვაღწიოთ ამ ტერიტორიიდან.

მინდა ჩვენი მხარდაჭერა გამოვუხატო უკრაინელ ხალხს, რომელიც ძალიან გვიყვარს, 17 წელია, ამ ქვეყანაში დავდივართ და ძალიან ახლობელი გახდა ეს ხალხი, – აღნიშნა ნინო სუხიშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „უკრაინელების წინაშე ვალი გვმართებს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ რუსეთი უკრაინას გადაყლაპავს, ხომ წარმოგიდგენიათ, რას უზამს საქართველოს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, როგორი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების პოზიცია უკრაინაში რუსეთის აგრესიაზე.**

***– ლაშა, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციის მიერ მოწვეულ რიგგარეშე საპარლამენტო სესიას ხელი მოაწერა. რას იტყვით, რამდენად ადეკვატურია საერთაშორისო მოვლენების მიმართ საქართველოს ხელისუფლება?***

– სალომე ზურაბიშვილი ბედავს დამოუკიდებლად მოქმედებას, სახის შენარჩუნებას თუ რეალურად ცდილობს მოვლენების ადეკვატური იყოს, რთული სათქმელია. ყველა შემთხვევაში, რაც გააკეთა, კარგია და შეუძლებელია ეს არ ვთქვა.

რაც შეეხება მთავრობას და მის მეთაურს, აქ შეუძლებელია არ ვთქვა, რომ რასაც ვხედავთ, არის სამარცხვინო. ელემენტარული, ადამიანური სოლიდარობაა საჭირო, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ. ცივილიზებული სამყაროს ნაწილის გვერდით რომ უნდა ვიდგეთ და 21-ე საუკუნეში ადამიანების, ბავშვების დაბომბვას რომ უნდა ვაპროტესტებდეთ, სრულიად ღიად და დაუფარავად, არ მგონია, ეს დიდ პოლიტიკურ გამჭრიახობას მოითხოვდეს. არავინ არ საუბრობს, რომ რუსეთს ომი გამოვუცხადოთ და უკრაინელებზე უფრო უკრაინელები გავხდეთ. ამაზე არ არის საუბარი. საუბარია ადამიანურ სოლიდარობაზე. ელემენტარულად, უკრაინელების წინაშე ვალი გვმართებს. 2008 წლის ომში უკრაინის პრეზიდენტი თბილისში იყო. უკრაინა ჩვენი პარტნიორი – მეგობარი სახელმწიფოა.

რაც შეეხება იმას, რომ ზუსტად იგივე ვითარებაში ვიყავით ჩვენც და ჩვენი ტერიტორიებიც რუსების მიერ არის ოკუპირებული, ეს კიდევ ერთ მოტივაციას გვაძლევს, რომ სწორედ უკრაინის გვერდით ვიყოთ ყველა დონეზე, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ, დასავლეთმა უკრაინასთან ერთად საქართველოც არ დაივიწყოს. დღეს უკრაინა, ხვალ ჩვენ ვიქნებით. თუ რუსეთი უკრაინას გადაყლაპავს, ხომ წარმოგიდგენიათ, რას უზამს საქართველოს. ამიტომ, არ მგონია, სწორი პოზიცია ჰქონდეს დღეს ჩვენს ხელისუფლებას.

***– ეს ერთგვარი ტაქტიკაა, არ გავაღიზიანოთ რუსეთი.***

– ეს არასწორი ტაქტიკაა. ეს პირში წყლის ჩაგუბების ტაქტიკა უფროა, ვიდრე გათვლილი და გამიზნული სტრატეგია, რადგან კარგად გამოჩნდა, რომ რუსეთი არაფრად დაგიდევთ ტაქტიკასა და სტრატეგიას, როდესაც საქმე მის იმპერიალურ მისწრაფებებსა და ზრახვებს ეხება. როდის გააღიზიანა ზელენსკიმ პუტინი? ან უკრაინამ დაიწყო დაბომბვა თუ როგორ იყო?! პირიქით, დასავლეთის სხვა ლიდერებთან შედარებით, ზელენსკი ბევრად უფრო თავშეკავებული იყო.

ასე თუ გავჩუმდებით და პირში წყალს ჩავიგუბებთ, მსოფლიო დაგვივიწყებს. ჩვენი ხელისუფლების გარეშე დასავლელი ლიდერები მთელი ეს პერიოდი საქართველოს მაგალითით საუბრობდნენ, მაგრამ დროა ჩვენმა ლიდერებმაც ისაუბრონ ჩვენს ოკუპაციაზე, მცოცავ ანექსიაზე, იმაზე, რომ რუსული ჯარი დგას თბილისიდან 20 კილომეტრში. ამაზე უნდა



### „თუ გავჩუმდებით და პირში წყალს ჩავიგუბებთ, მსოფლიო დაგვივიწყებს“

ვისაუბროთ, თვალი კი არ უნდა დავხუჭოთ. ვიმეორებ, გიჟი არავინ არის, რომ მოვთხოვოთ ჩვენს ხელისუფალს, რუსეთს ეკვეთოს და ომი გამოუცხადოს. საუბარია ზომიერ, შესაფერის რიტორიკაზე, რომელიც აუცილებელია ახლა გვქონდეს არა იმიტომ, რომ პუტინს შევაშინებთ, რამედ დასავლეთს ვუთხრათ, ჩვენც დაპყრობილი ერი ვართ და განთავისუფლება ჩვენც გვჭირდება, რომ საჭიროა პუტინის იმპერიალისტური ზრახვების შეჩერება, თორემ საბჭოთა კავშირის აღდგენის გეგმა უკვე დადებულია.

***– როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს უკრაინელი ხალხისთვის ჰუმანიტარული დახმარება? რა შეგვიძლია ამ კუთხით?***

– ჩვენგან უკრაინისადმი სოლიდარობის აქტიური ქმედებები აუცილებელია და ეს კონკრეტულ ნაბიჯებში უნდა გამოიხატოს. მაგალითად, შეიქმნას სისხლის ბანკი, ან სამედიცინო ბრიგადა, რომელიც დაჭრილებს გაუწევს დახმარებას. სხვადასხვა ღონისძიებების მოფიქრება შეიძლება.

***– როგორ ფიქრობთ, 2008 წელს უფრო ადეკვატური რომ ყოფილიყო ევროკავშირი და ჩვენთვის ომის დაწყების გამრკვევი ე.წ. ტალიავინის კომისია არ შემოეთავაზებინა, დღეს დასავლეთი ამ პრობლემის წინაშე მაინც აღმოჩნდებოდა?***

– ძალიან საინტერესო საკითხია. დიახ, დასავლეთი ბევრად უფრო სუსტი იყო იმ ოკუპაციის წინააღმდეგ, რომელიც 2008 წელს რუსეთმა განახორციელა სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ. შეიძლება ვთქვათ, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომ, საქართველომ, უკრაინამ 14 წელი დაკარგა. კვლავ დავუბრუნდით იმ წერტილს, რასაც რუსეთის ომი ჰქვია.

***– თუ უფრო თამამი იქნებოდა დასავლეთი და, მაგალითად, მაპ-ი იქნებოდა?***

– დარწმუნებული ვარ, ამდენს ველარ გაბედავდა პუტინი. სანქციებიც ბოლო წუთამდე არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. 2008 წლის შემდეგ სანქციები მოიხსნა კიდეც. ვილაცები, ევროპის გადამდგარი ჩინოვნიკები გაზპრომშიც კი დასაქმდნენ. 21-ე საუკუნეში ევროპა ასეთი დამოკიდებული არ უნდა ყოფილიყო რუსულ გაზზე. დივერსიფიცირებაზე თავის დროზე უნდა ეზრუნათ. თუმცა, იმედია, გაერთიანებული ევროპა და ამერიკა როგორმე შეაჩერებენ პუტინს.

# სალომე სამადაშვილი: „ის, რაც უკრაინაში ხდება, არ არის სხვისი ომი“

– ის, რაც უკრაინაში ხდება, არ არის სხვისი ომი, ახლა არ არის დრო პოლიტიკური განსხვავებისთვის, ჩვენ გვჭირდება ყველა პოლიტიკური ძალის სრული კონსოლიდაცია, ჩვენ გვჭირდება საქართველოს ყველა მოქალაქის კონსოლიდაცია და ეს უნდა მოხდეს პარლამენტის საგანგებო სხდომაზე.



ამის შესახებ ჟურნალისტებთან „ლელოს“ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა განაცხადა.

სამადაშვილის თქმით, აუცილებელია, რომ პრემიერ-მინისტრთან და კაბინეტის სრულ შემადგენლობასთან ერთად იმსჯელონ, რამდენად არის მზად ქვეყანა იმ გამოწვევისთვის, რასაც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიმდინარე აგრესია უქმნის საქართველოს როგორც უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური მიმართულებით.

– პირველ რიგში, მსურს მივესალმო საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომელმაც მოითხოვა პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ჩატარება. დღეს ჩვენი ქვეყანა უკრაინელ ხალხთან ერთად უმწვავესი გამოწვევის წინაშე დგას. ასეთი გამოწვევა ჩვენს ქვეყანას და სუვერენულ უფლებებს არ ჰქონია 2008 წლის შემდეგ.

ჩვენ ვხედავთ, რომ საფრთხე ყოველდღიურად და ყოველწუთიერად მძიმდება და პარლამენტი უნდა შეიკრიბოს, პირველ რიგში, გამოხატოს სრული სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მიმართ, მათ შორის, მიგვაჩნია და ვითხოვთ ამას უკვე რამდენიმე დღეა, შესაბამისი საპარლამენტო რეზოლუციის მიღების გზით და მეორე – ჩვენ პრემიერ-მინისტრთან და კაბინეტის სრულ შემადგენლობასთან ერთად უნდა ვიმსჯელოთ, რამდენად არის მზად ქვეყანა იმ გამოწვევისთვის, რასაც ჰქვია რუსეთის მიმდინარე აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, რადგან ეს უქმნის ჩვენს ქვეყანას მთელ რიგ საფრთხეებს, როგორც უსაფრთხოების და თავდაცვის, ასევე ეკონომიკური გამოწვევის მიმართულებით.

ჩვენ ერთად უნდა ვიმსჯელოთ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ჩვენი ქვეყანა ამ გამოწვევას და როგორ უნდა დავიცვათ ხალხის ინტერესი.

ხვალ ძალიან ბევრი საკითხი გვექნება განსახილველი, დაწყებული ეკონომიკური უსაფრთხოებით, დასრულებული იმით, თუ რა სახის დახმარების აღმოჩენას აპირებს საქართველოს სახელმწიფო უკრაინისთვის. სიტყვების დრო დასრულდა, დღეს უკრაინელი ხალხი და უკრაინის სახელმწიფო ელოდება ყველა მეგობრისგან კონკრეტულ დახმარებას. დღეს იკრიბება ევროკავშირი, ნატო, მთელი მსოფლიო დღეს დგას უკრაინელი ხალხის გვერდზე. ჩვენ ვნახეთ, რომ კონკრეტულ დახმარებას სთავაზობენ უკრაინას არა მხოლოდ რუსეთზე სანქციების და ზეწოლის გზით, არამედ უკრაინის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. საქართველო უნდა იყოს ამ დახმარების აღმოჩენაში წინა ხაზზე, რადგან ეს არ არის სხვისი ომი. ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ეს არის, მათ შორის, ჩვენი ომი სახელმწიფოებრიობისთვის, – განაცხადა სამადაშვილმა.

# სალომე ზურაბიშვილმა უკრაინაში ომის გამო საქართველოს პარლამენტის სხდომა მოიწვია



ომი უკრაინაში – საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი მეგობარ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტის რიგგარეშე სხდომას იწვევს.

ამასთან, ზურაბიშვილი მზადყოფნას გამოთქვამს, საქართველო წარმოადგინოს ყველა იმ ფორმატში, სადაც უკრაინის საკითხის განხილვა მიმდინარეობს ან მოხდება.

– მინდა მივმართო მოსახლეობას, პოლიტიკურ სპექტრს, უმრავლესობას თუ ოპოზიციას და მთავრობას, დღეს, როგორც არასოდეს, ჩვენთვის და ჩვენი მომავლისთვის აუცილებელია ეროვნული თანხმობა და ერთსულოვნება. საჭიროდ მიმაჩნია, ნებისმიერ ფორმატში, ეს იქნება პარლამენტის რიგგარეშე სხდომა თუ გაფართოებული უსაფრთხოების საბჭო, გამოვხატოთ ყველამ ერთად, რომ ვდგავართ მთელი ერი უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გვერდით და მშვიდობის მხარეს. მაცნობეს, რომ შემოვიდა რიგგარეშე სხდომის თხოვნა ჩემთან და ვაპირებ, რომ ხელი მოვაწერო, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა უკრაინელ ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა.

– დღეს ტრაგიკული დღეა საქართველოსთვისაც... – საქართველო თქვენ გვერდით დგას.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, ქვეყნის, რომელმაც ასეთივე აგრესია განიცადა, მინდა გამოვუცხადო უკრაინის პრეზიდენტს, მთავრობას და ხალხს ჩვენი სრული სოლიდარობა, – თქვა ზურაბიშვილმა.

# პრეზიდენტის მრჩევლად დავით თევზაძე დაინიშნა

საქართველოს პრეზიდენტის მთავარ მრჩევლად, სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე დაინიშნა.



პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, დავით თევზაძე ამ თანამდებობას 2022 წლის 21 თებერვლიდან იკავებს.

ცნობისთვის, 1998-2004 წლებში დავით თევზაძე იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი, 2004 წელს – საქართველოს ელჩი ნატოში.

# რუსული კომპანიების აქციების ვარდნა გრძელდება

რუსული ძალების უკრაინაში შეჭრის შესახებ ვლადიმირ პუტინის ბრძანების შემდეგ, დილიდან რუბლი, 2016 წლიდან, ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეცა, რამაც მოსკოვის ბირჟაზე რამდენიმე საათით ვაჭრობის შეჩერება გამოიწვია.




მოსკოვის ბირჟის მთავარმა სესიამ, მოსკოვის დროით 10:00 საათიდან მუშაობა განაახლა. გახსნისთანავე რუსეთის ფედერაციის საფონდო ბირჟა ვარდნას განაგრძობს. მოსკოვის ბირჟისა და რტს-ის ინდექსები 2020 წლის მარტის ნიშნულამდე დაეცა.

მოსკოვის დროით 10:02 საათზე, აშშ დოლარის კურსმა 88,2175 რუბლი შეადგინა, რაც 7,0775 რუბლით აღემატება წინა აუქციონის დახურვის დონეს. ამავდროულად, ვაჭრობის მსვლელობის დროს დოლარის ფასი გაიზარდა 89,6 რუბლამდე და ახალი ისტორიული მაქსიმუმი დააფიქსირა. ევრო 97,8 რუბლი ღირდა. მისი ფასი 6,1 რუბლით გაიზარდა.

ინტერფაქსის მონაცემებით, მოსკოვის დროით 10:01 საათისთვის მოსკოვის ბირჟის ინდექსმა 2738,87 პუნქტი (-11,2%), ხოლო რტს-ის ინდექსმა 1026,02 ქულა (-16,4%) შეადგინა.

მოსკოვის ბირჟის მთავარი მოთამაშეების უმრავლესობის ფასები 28,3%-ით დაეცა.

**აქციები გაუფასურდა:**

ოზონ – (-28.3%)
ინტერ რაო – (-14.9%)
ნლმკ (-13.2%)
სურგუტნეფტეგაზ (-12.8% და -12.5%)
ვთბ (-12,8%)
როსნეფტ (-12,5%)
რუსჰიდრო“ (-12,2%)
სევერსტალ (-12,1%)
სბერბანკ (-11,9% და -11,8% „პრივილეგირებული აქციები“)
მტს (-11,8%)
მმკ (-11%)
ნორილსკ ნიკელ (-10,9%)
იანდექს (-10,4%)
ალროსა (-10,1%) %)
გაზპრომ ( -10.1%)
პილიმეტალ (-10%)
ლუკოილ (-9.8%)
უკ რუსალ (-9.8%)
აეროფლოტი (-9.7%)
ნოვატეკ (-9.7%)
მაგნიტი (-9,7%)
გაზპრომ ნეფტი (-9,5%)
მოსკოვის ბირჟა (-9,4%)

რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციები გამოაცხადა, რისი მიზანიც, სამხედრო ოპერაციის ფონზე, ბაზრების კოლაფსის შედეგების შემსუბუქებაა.

# „პატრიოტთა ალიანსის“ პუტინისადმი მიმართვა შეურაცხმყოფელია საქართველოსთვის“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „პუტინი მსოფლიოსაც ემუქრება. რაც მან ჩაიდინა, რუსეთს აუცილებლად მიუტრიალდება“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.**

***– ბატონო გიორგი, 25 თებერვალს კიევში მიემგზავრებით, მაგრამ რუსეთმა ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელა და საჰაერო სივრცეც დაიკეტა.***

– რასაც პუტინი აკეთებს, ეს არის ტიპიური ფაშიზმი, ტიპიური ჰიტლერის გზაა. ჰიტლერმა თუ ებრაელები გამოაცხადა მსოფლიოს მტრად, პუტინმა უარესი თქვა – საერთოდ, უკრაინა და უკრაინელები არ არსებობენო. ეს არის ფაშიზმი კვადრატში.

***– უკრაინაზე ფართომასშტაბიანი შეტევის წინ, მსოფლიოსაც დაემუქრა, უკრაინას არ დაეხმაროთო.***

– პუტინი მსოფლიოსაც ემუქრება. რაც მან ჩაიდინა, რუსეთს აუცილებლად მიუტრიალდება. ამით პუტინმა რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი ზიანი მიაყენა, რაც შეიძლება რუსეთის დაშლითაც კი დამთავრდეს, რადგან, ვფიქრობ, დასავლეთი ასეთ თავხედობას უკვე აღარ მოითმენს. მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნე არ არის, რომ ვინმე დაპყრობით ომებს აწარმოებდეს. 21-ე საუკუნეა, სადაც ცივილიზებული ფორმით უნდა გადაწყდეს ყველა საკითხი, მაგრამ კაცი, როგორც ჩანს, მთლად ჯანზე ვერ არის.

***– თქვენ რასთან დაკავშირებით მიემგზავრებოდით?***

– ევროპის მწვანეთა პარტიის ეგიდით, რუსეთის მიერ დაჩაგრული ქვეყნების, მოლდოვას, უკრაინისა და საქართველოს მწვანეთა პარტიების ლიდერების შეხვედრა იგეგმებოდა. ორგანიზატორი ევროპის მწვანეთა პარტიაა, მომზადებულია რეზოლუცია. რეზოლუციის პროექტის მომზადებაში ჩვენც ვმონაწილეობდით. რეზოლუციას ახლა ონლაინ რეჟიმში მივიღებთ, რომელიც ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას გადაეგზავნება

***– თქვენ კიევში მიდიოდით უკრაინისთვის სოლიდარობის გამოსახატავად, მაგრამ საქართველოში დაახლოებით 50 ორგანიზაციაა, რომელმაც მიმართა პუტინს: თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ არ გვინდა ნატო და გვიშველეთო. მათ ასეთ ქმედებას როგორ აფასებთ?***

– „პატრიოტთა ალიანსის“ ეს მიმართვა სამარცხვინოა, ქართველი საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია.

***– ეს პუტინისა და რუსული ჯარის მოწვევა არ არის? არ გვინდა ნატოში, გვიშველეთ, დაგვეხმარეთო?***

– ამიტომ ვამბობ. ამიტომ ეს სამარცხვინოა. ოფიციალურად ასეთი ნაბიჯი საქართველოში არავის გადაუდგამს. ჩუმად ყოველთვის თანამშრომლობდნენ.

***– მე შულავერის კომიტეტი მახსენდება.***

– დიახ, ამიტომ არის სამარცხვინო. რუსებმა ქვეყანა აგიოხრეს (ყველაფერი პუტინმა გააკეთა), ტერიტორიები წაგართვეს, ყოველდღიურად პრობლემებს გიქმნიან, ადამიანებს იტაცებენ, შენ კი, შენი ქვეყნის ამაოხრებელსა და ტერიტორიების მიმტაცებელს მიმართავ. ეს მარტო ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ბრალი არ არის, საერთო სიტუაციის ბრალია, რაც საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ შექმნა.

***– კერძოდ, როგორ?***

– გამაგებინეთ, საქართველოს ხელისუფლება ამისთანა ქმედებებს რატომ ითმენს? მოვიდა დრო, სახელმწიფო ხელისუფლებამ ასეთი საფრთხეების დროს, რუსეთის მეხუთე კოლონა – ფარული თუ ღია – გააუვნებელყოს (იცით, ვინც არის – ფარულია ნაცმოძრაობა და სხვები) და ასეთი ორგანიზაციები აღკვეთოს. თუ ამას ხელისუფლება არ გააკეთებს, ქვეყნის წინაშე უზარმაზარი დანაშაული იქნება. ასეთი ორგანიზაციების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე უნდა შეწყდეს, რადგან რუსეთის სპეცსამსახურების დასაყრდენი და საფრთხის შემცველია.

ასევე, უნდა დაიხუროს რუსეთის ინტერესების გამხმოვანებელი მედია, რუსეთიდან მომდინარე მედიის საშუალებები უნდა დაიბლოკოს, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით და საქართველოში პროპაგანდას ეწევა და დეზინფორმაციას ავრცელებს.

***– კანონით ასეთი მიმართვა მტერთან თანამშრომლობა არ არის?***

– მარტო ეგენი არ არიან, სხვა ორგანიზაციებიც ხომ შეიქმნა პრორუსული, ალტ-ინფო და სხვა უბედურებები. როგორ შეიძლება ოკუპირებულ ქვეყანაში, ვინც ოკუპაცია გაგიკეთა მისი მხარდამჭერი ორგანიზაციები ყვავოდეს?

***– კანონით ასეთი ქმედებებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ?***

– საერთოდ, დასჯადი უნდა იყოს თანამშრომლობა იმ ქვეყანასთან, რომელიც შენი მტერია, ყოველ წუთში პრობლემებს გიქმნის. შენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული,

***– ისე, განაცხადეს, თითქოს დიდ პატრიოტულ საქმეს აკეთებენ.***

– სერგო ორჯონიკიძეც აცხადებდა, პატრიოტულ საქმეს ვაკეთებო, როცა წითელ არმიას მოუძღოდა და ქართველ ახალგაზრდებს ხოცავდა. თქვენ შულავერის კომიტეტი ახსენეთ, ისინიც ამას აცხადებდნენ. ყველა უბედურება, რაც საქართველოში მოხდა, მათი გამოისობითაა.

ყველა ნორმალურ სახელმწიფოში, ვისაც კრიზისული ვითარება აქვს და მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ბაზებია, ხელისუფლება ცდილობს, ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციები გააძლიეროს, რომელიც მტრულ ძალებს წინააღმდეგობას გაუწევს.

***– ლუგანსკისა და დონბასის აღიარებისა და იქ ჯარის ღიად შეყვანის გამო, რუსეთს სანქციები დაუწესდა. გერმანიის კანცლერმა „ჩრდილოეთ-ნაკადი-2“ გაზსადენის პროექტის ლიცენზიაც შეაჩერა. თუმცა, რუსეთს დარჩა სხვა გზები, რითაც გაზს გაიტანს უცხოეთში.***



– ეს ავანტიურა, რომელიც პუტინმა აქამდე განახორციელა, სინამდვილეში სხვა მიზნებს ისახავდა. საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ნატოში უახლოეს პერიოდში ვერ გაწევრიანდება. ამას პირდაპირ ამბობს ნატოს გენერალური მდივანი. ალიანსში მიღებას სერიოზული მომზადება სჭირდება. საქართველოს ნატოში გაწევრიანება იმიტომ უჭირს, რომ სააკაშვილის დიდი მეცადინეობით, რუსეთმა აქ ოთხი სამხედრო ბაზა შექმნა.

ნატო სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციაა და თავის რიგებში იმ ქვეყანას არ მიიღებს, სადაც თავისი მტრის სამხედრო ბაზებია განთავსებული. ამიტომ 2008 წლის ომის ძირითადი მიზანი იყო იმ ბაზების დაბრუნება, რომელიც საქართველოდან 1999 წლის სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებით გავიდა.

2008 წელს, რუსეთმა ომი საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის. ხელის შესაშლელად წამოიწყო, რუსეთს ბაზები რომ ვერ დაებრუნებინა, საქართველო დღეს, შეიძლება, ნატოს წევრი ყოფილიყო. ხელისშემშლელი აღარაფერი იქნებოდა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, რადგან საქართველო და კავკასია ამერიკისა და ევროპისთვის სერიოზული გეოპოლიტიკური ადგილია. ეს არის დერეფანი, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებს.

პუტინმაც ძალიან კარგად იცოდა, რომ უკრაინასა და საქართველოს ნატოში არ მიიღებდნენ. ამაზე თავის ვრცელ გამოსვლაშიც ილაპარაკა – გვეუბნებიან, უკრაინისა და საქართველოს მიღებას დიდი ხანი უნდა, მაგრამ არ გვჯერაო.

„ჩრდილოეთ-ნაკადი-2-ის“ გაზსადენი აშენდა, მაგრამ ექსპლუატაციაში არ შედიოდა, ეგონა, ამ ავანტიურით ევროკავშირს და შეერთებულ შტატებს აიძულებდა, გაზსადენი აემუშავებინა. ამ გაზსადენში 55 მილიარდმა კუბამეტრმა გაზმა უნდა გაიაროს. 55 მილიარდი კუბამეტრი გაზის გატანა, გაჭირვებული, გამათხოვრებული რუსეთისთვის, უზარმაზარი შემოსავალია.

***– ტერიტორიის მუდმივი გაფართოვების დაუოკებელი სურვილიდან გამომდინარე, ჩანს, პუტინს უკრაინის ტერიტორიის მიტაცება უნდა. ფართომასშტაბიანი შეჭრის წინ, პუტინმა თქვა, უკრაინის სახელმწიფო არ არსებობდა, ახლა კი ხელისუფლება რაღაც რეჟიმს აქვს ხელში ჩაგდებულიო.***

– პუტინის გამოსვლამ მთელი მსოფლიო გააოგნა, ჰიტლერის რიტორიკას ჰგავდა. თურმე რუსეთი არის სუპერმთავარი, დანარჩენები, ფაქტობრივად, არ არსებობენ. თავისი შინაარსით, ეს არის ფაშისტური იდეოლოგია. უკრაინა არ არსებობსო, ე.ი. პუტინის ლოგიკით, არც უკრაინელები არსებობენ. უკრაინა ლენინმა შექმნაო. უკრაინელები შექმნა ლენინმა? კიევის რუსეთი რომ არსებობდა, მაშინ მოსკოვში, საერთოდ, ტყე იყო.

***– ერთ დროს რუსეთი ყირიმისაც იყო, მაგრამ ახლა პირიქითაა.***

– უკრაინა რომ არსებობდა, მაშინ რუსეთი მგონი, საერთოდ, არ არსებობდა. აქამდე პუტინმა ვერ მიიღო, რაც უნდოდა. ისეთ მდგომარეობაში რომ გაჩერებულიყო, რუსეთის ამომრჩეველი იტყოდა, პუტინმა რუსეთი დაასუსტაო.

***– საქართველოსთან დაკავშირებით საფრთხე თუ არის.***

– სერიოზული საფრთხეა. „ჩრდილოეთ-ნაკადი-2“ რომ გაჩერდა, რუსეთი შეეცდება, ევროპის კონტინენტზე, სადაც მისი გაზის მიწოდების წილი ძალიან მაღალია, სხვა, ალტერნატიული გზები ჩაკეტოს და ამით თავისი სიძლიერე დაანახოს.

***– უკრაინას მის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენი არ გადაუკეტავს.***

– რუსეთის ძირითადი გაზსადენი უკრაინაზე გადის. ის რომ ჩაუკეტოს, თვითონ ხომ დაზარალდება. რუსეთი თავისი გაზის მიწოდებას არ შეწყვეტს, შეეცდება სხვა ნაკადები გააჩეროს. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო.

***– შექმნილი ვითარების ფონზე, აზერბაიჯანმა რუსეთთან სტრატეგიული ხელშეკრულება გააფორმა. ეს რაიმეს ხომ არ შეცვლის სამხრეთ კავკასიაში მით უფრო, რომ სომხეთთან დაპირისპირება აქვს?***

– აზერბაიჯანმა, ფაქტობრივად, ტერიტორიები დაიბრუნა და რუსეთთან რაღაც ვალდებულებებითაა დაკავშირებული.

***– რუსეთის ე.წ. სამშვიდობო კონტინგენტი აზერბაიჯანიდან გავიდა?***

– არა, აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტი ვითომ დარეგულირდა სომხეთის ხარჯზე. აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხარჯზე რუსეთმა იქ, ფაქტობრივად, სამხედრო ბაზები გახსნა. რუსის ჯარის გაყვანის პრობლემა თუ დადგება, რუსეთი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტის გაჩაღებას შეუწყობს ხელს.

# აზერბაიჯანი „ოდკბ“-ში შესვლას არ გეგმავს

## სომხეთის ოპოზიცია: „სომხეთის საგარეო პოლიტიკა სრულად ჩავარდა“

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინის მწვავე მოვლენების ფონზე საქართველოში დიდი ყურადღება ეთმობა აზერბაიჯან-რუსეთის ურთიერთობებში მომხდარ ძვრებს. 23 თებერვალს მოსკოვში დასრულდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევის ოფიციალური ვიზიტი. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა დეკლარაციას აზერბაიჯანსა და რუსეთის ფედერაციას შორის სამოკავშირეო ურთიერთობის შესახებ.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა კიდევ ერთხელ დაარღვია უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და აღიარა დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო“ რესპუბლიკების „დამოუკიდებლობა“.

მანამდე ცოტა ხნით ადრე, აზერბაიჯანმა გააფორმა მთელი რიგი ხელშეკრულებები უკრაინასთან. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, ოპოზიციამ და საზოგადოებამ თანადგომა გამოუცხადა უკრაინას, რომლის საზღვართან მობილიზებული იყო რუსეთის ჯარი.

ქართველი ექსპერტების უმრავლესობა მიანიშნებს რუსეთის გავლენის ზრდაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში. კეთდება პროგნოზები იმაზე, თითქოს აზერბაიჯანი შევა „ოდკბ“-სა (კოლექტიური უშიშროების ორგანიზაცია, რომელშიც, რუსეთის გარდა, გაწევრიანებულია სომხეთი) და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში.

ეს რომ იგეგმებოდეს, ამაზე ისაუბრებდნენ პუტინის მომხრე ექსპერტები. ისტორიკოსი არტემიევი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანი არ აპირებს შეუერთდეს ინტეგრაციულ პროექტებს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ბაქო არ გეგმავს გახდეს „ოდკბ“-ის წევრი.

მისი შეფასებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში აზერბაიჯან-რუსეთის ურთიერთობები აღმავალი ხაზით ვითარდება. თავად პრეზიდენტი ალიევი აღნიშნავს, რომ ეს იყო მისი 48-ე ოფიციალური ვიზიტი რუსეთში. პუტინიც არაერთხელ იმყოფებოდა აზერბაიჯანში.

რუსი ექსპერტის დასკვნით, რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიაში შექმნილია რთული მდგომარეობა – რუსეთი ერთდროულად მეგობრულ ურთიერთობაშია სომხეთთან და აზერბაიჯანთან.. პუტინი ცდილობს ინტერესების დაბალანსებას.

მისი განმარტებით, სომხეთი, როგორც „ოდკბ“-ის წევრი ქვეყანა, ასრულებს თავის ვალდებულებებს. აზერბაიჯანთან მას ორმხრივი ურთიერთობა აქვს.

ეჯახება თუ არა სამხრეთ კავკასიაში ერთმანეთს რუსეთისა და თურქეთის ინტერესები? არტემიევის აზრით, აზერბაიჯანი (ყარაბაღი) ამ კუთხით კრიტიკული წერტილი არ არის. მოსკოვსა და ანკარას შორის პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს ყირიმი.

ბაქოსა და მოსკოვს შორის გაფორმებულ დეკლარაციას გამოეხმაურნენ ერევანშიც. სომხეთის საგარეო უწყების შეფასება მოზომილია:

– ვიმედოვნებთ, რომ მოსკოვში 22 თებერვალს ხელმოწერილი დეკლარაცია შექმნის პირობებს სომხეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის ლიდერების განცხადებების რეალიზაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გრძელვადიან და ყოვლისმომცველ მოწესრიგებას.

საუბარია განცხადებებზე, რომლებიც ეხება ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების სამმხრივ შეთანხმებას.

სომხეთის საგარეო სამინისტრო აღნიშნავს, რომ სომხეთსა და რუსეთს ერთმანეთთან აქვთ სამოკავშირეო ურთიერთობები, რომლებიც დამყარებულია ორი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე.

სხვანაირია სომხეთის ოპოზიციური პარტიების პოზიცია.

– მოსკოვსა და ბაქოს შორის გაფორმებული დეკლარაცია არის სომხეთის საგარეო პოლიტიკის სრული ჩავარდნის დემონსტრირება, – აცხადებს სომხეთის პარლამენტის ოპოზიციური ბლოკ „სომხეთის“ წევრი არტურ ხაჩატრიანი.

მისი შეფასებით, სომხეთს ახალი მეგობრები არ შეუძენია, ძველები კი დაკარგა:

– რუსეთთან ურთიერთობა კაპიტალურად ჩავარდნილია. ყოველდღე სომხეთის საზოგადოება ხდება ამ ჩავარდნის მოწმე. ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ სომხეთისა და რუსეთის ურთიერთობაში რაღაც სწორად ვერ წავიდა. ევროპასთან თანამშრომლობა უკეთესი არ არის. ვაშინგტონთან ურთიერთობაშიც არ ჩანს პროგრესი. ჩინეთთან თანამშრომლობა დაბალ დონეზეა. ირანთან ურთიერთობა გაუმჯობესებას მოითხოვს. ბელარუსის პრეზიდენტი თავს უფლებას აძლევს, სომხეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენოს.

ყველა ნიშნის მიხედვით, გეოპოლიტიკური სიმწვავე სამხრეთ კავკასიას მოედო. სიტუაციის ჩაწყნარება ახლო მომავალში მოსალოდნელი არაა.

# „ჩემმა ძმამ მომატყუა, ბაზარი გადავუფორმე და გადამაგდო“

## კაბალში ყოფილ რწმუნებულს ეზოში ხელყუმბარა აუფეთქეს




სოფელ კაბალში 23 თებერვალს პოლიცია იყო მობილიზებული – ყოფილი რწმუნებულის, ჯემალ ნიაზოვის, საცხოვრებელი სახლის ეზოში ხელყუმბარა ააფეთქეს.

დაზიანებულია სახლის კედლები და ფანჯრები.

აფეთქების დროს სახლში ჯემალ ნიაზოვი და მისი მეუღლე იმყოფებოდნენ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 229-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას და აფეთქებას გულისხმობს.

უცნობია, უკავშირდება თუ არა მომხდარი რამდენიმე თვის წინ, 2021 წლის 4 ოქტომბერს, სოფელ კაბალში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ხელყუმბარის შეგდების გაგრძელებას. ამ კონკრეტულ საქმეზე ორი პირია დაკავებული.

მაშინ ტვ პირველმა მომხდარის დღესვე გაარკვია, რომ აფეთქება მამედოვებსა და ნიაზოვებს შორის არსებულ დავას უკავშირდებოდა.

ბიზნესმენს შვილების გატაცებითაც ემუქრებოდნენ.

სოფელ კაბალის ყოფილი რწმუნებული მისი და თავისი ოჯახის მკვლელობის მცდელობის უკან საკუთარ ძმას ხედავს.

ჯემალ ნიაზოვი „პირველებთან“ ამბობს, რომ ძმებს შორის დაპირისპირება 10 წლის წინ დაიწყო, როცა მან ძმას სოფლის ბაზრის ხელმძღვანელობა გადააბარა, სანაცვლოდ კი ქონების ნაწილის გადაფორმებას მოელოდა, თუმცა, დაზარალებულის თქმით, ძმამ დაპირება არ შეასრულა.

– ჩემი შვილიშვილი შემოვიდა ოთახში, მითხრა, აფეთქების ხმა გავიგეო. დაზიანებულია ფანჯარა, ხელყუმბარა შემოაგდეს. მომხდარს ჩემს ძმას ვუკავშირებ, მამედოვები ამას არ გააკეთებდნენ, ჩემი გაზრდილი ბავშვები არიან. ჩემ ძმასთან ბიზნესდავა მაქვს. მომატყუა, ბაზარი გადავუფორმე და გადამაგდო, – აცხადებს დაზარალებული.

მურად ნიაზოვი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ძმამ ხელყუმბარა თავად ააფეთქა.

– ეშმაკობს, თვითონ ააფეთქა ან ვიღაცის ხელით გააკეთა. წარსულში მისმა შვილმა ჩემი სახლი ააფეთქა, მითხრა, მოგკლავ, თუ ბაზარს ჩემ სახელზე არ გააფორმებო, – აცხადებს მურად ნიაზოვი.

# ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმეზე კიდევ ერთი პირი დააკავეს



შსს-მ თბილისში ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის ფაქტზე კიდევ ერთი პირი დააკავა.

სამინისტროს ინფორმაციით, 1996 წელს დაბადებული პირი დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიების თანახმად, დაკავებულმა ი.ბ.-მ საკუთარ სახლში ღამე გაათევინა გ.კ.-ს და ამავე საქმეზე მეორე ბრალდებულ ა.ჭ.-ს, ხოლო მეორე დღეს მათ მიმალვაში დაეხმარა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1996 წელს დაბადებული ი.ბ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ი.ბ. თბილისში მომხდარ ნ.კ.-ს მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთ ბრალდებულ გ.კ.-სთან მეგობრობდა, შესაბამისად, მან იცოდა თავისი მეგობრის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის შესახებ. ასევე, დადგინდა, რომ ი.ბ.-მ საკუთარ სახლში ღამე გაათევინა გ.კ.-ს და ამავე საქმეზე მეორე ბრალდებულ ა.ჭ.-ს, ხოლო მეორე დღეს მათ მიმალვაში დაეხმარა.

სამინისტროს ინფორმაციითვე, ი.ბ.-მ პოლიციას ამის შესახებ არ შეატყობინა.

ამასთან, დანაშაული 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

# მოსამართლე ნიკა გვარამიასთვის განაჩენის გამოტანას ჩქარობს და შემაჯამებელი სიტყვისთვის 2 დღეს აძლევს




ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 23 თებერვალს გაიმართა, მოსამართლე „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას ჩქარობს.

მომდევნოს სხდომაზე, 25 თებერვალს, დასკვნითი სიტყვით ბრალდების მხარე წარდგება, საიდანაც ორ დღეში, 28 თებერვალს უკვე დაცვის მხარე წარდგება დასკვნითი სიტყვით, რის შემდეგაც ლაშა ჩხიკვაძე განაჩენის გამოსატანად გავა.

23 თებერვლის სასამართლოზე ნიკა გვარამიამ კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენა და დაკითხვაზე უარი თქვა, იმ მიზნით, რომ საკუთარი პოზიცია დასკვნით სიტყვაში დაეფიქსირებინა. ამ სიტყვის მოსამზადებლად კი მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ მას მხოლოდ 2 დღე მისცა – შაბათი-კვირა.

ნიკა გვარამიამ, საქმის მოცულობიდან გამომდინარე, 2 კვირა ითხოვა. საქმე 40 ტომზე მეტია და მასში 60-ზე მეტი მოწმის ჩვენება დევს, თუმცა მოსამართლემ ეს არ გაითვალისწინა.

ნიკა გვარამიას თქმით, თუ ჩხიკვაძე თარიღებს არ შეცვლის, ის ვერ წარმოთქვამს შემაჯამებელ სიტყვას.

– ბრალდება 25-შია შემაჯამებელი სიტყვით, ამის შემდეგ არის შაბათი-კვირა და 28-ში უკვე ჩემი შემაჯამებელი სიტყვა უნდა იყოს თურმე. 60-მე მეტი მოწმეა დაკითხული, 40– ტომიანი საქმეა. მე ვთქვი, რომ დაკითხვა არ მაინტერესებს, შესაბამისად, ჩემი პოზიციის გამოხატვას ვაპირებ შემაჯამებელი სიტყვით.

ამის ფონზე, რომ ვიგებ, რომ უზარმაზარი საქმის შემაჯამებელი სიტყვა უნდა ვთქვა 2 დღის მომზადების პირობებში, სადღაც 60 მოწმეს უნდა მოვუსმინო აუდიო თვალსაზრისით და შემდეგ ეს ვწერო, შესაბამისად, მე დღესაც არ ვისაუბრე, არც პროკურორის შემაჯამებელი სიტყვის მოსმენას ვაპირებ და აქ მოსვლას, 28-ში მოვალ და არავითარი შესაძლებლობა არ მაქვს, რომ ჩემი შემაჯამებელი სიტყვა ვთქვა, შესაბამისად, არც ამ უფლებას არ გამოვიყენებ. მოსამართლე რას იზამს, ეს უკვე ჩემი გადასაწყვეტი არ არის, – ამბობს ნიკა გვარამია.

მისივე თქმით, აღარავითარი მნიშვნელობა არ აქვს, განაჩენი „28 თებერვალს დადგება, თუ 15 მარტს“

პროკურორი კი აცხადებს, რომ ნიკა გვარამიას „შეეშინდა“ და სწორედ ამიტომ არ მისცა 23 თებერვალს სასამართლოს ჩვენება.

მისივე თქმით, საქმის განხილვა უკვე 2 წელზე მეტია, მიმდინარეობს და, წესით, მხარეები მზად უნდა იყვნენ დასკვნითი სიტყვისთვის.

შეგახსენებთ, ნიკა გვარამიას პროკურატურა ედავება ჯერ კიდევ „რუსთავი 2“-ის დირექტორობის დროს, სამაუწყებლო კომპანიის „კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და მისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის სამსახურებრივი მდგომარეობით გამოყენებას“.

# ვახტანგ გომელაური ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისართან, დუნია მიატოვიჩთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს ბოლო წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით სამინისტროს პოლიტიკა.

ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებზე, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს მადლობა გადაუხადა საქართველოში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისთვის.

შეხვედრას ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის დირექტორის მოადგილე – კლაუდია ლემი, კომისრის მრჩეველი – ოლენა პეტსუნი და ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი – ირაკლი გივიაშვილი დაესწრნენ.

# მორჩილ ვაჟა გიგოლაშვილს პატიმრობა შეეფარდა



სამონაზვნე პირზე ძალადობაში ბრალდებულ მორჩილს, ვაჟა გიგოლაშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გადაწყვეტილება მოსამართლე დავით კურტანიძემ მიიღო.

ბრალდებულის ადვოკატმა ლალი ბუნტურმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს არასაპატიმრო პირობები შეფარდებოდა და გამოძიების დასრულებამდე, 3.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებულიყო.

ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, წინასასამართლო სხდომა 19 აპრილს გაიმართება.

ადვოკატის განცხადებით, მოსამართლემ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრებას არ აპირებს.

მანამდე საქართველოს პროკურატურამ დამამცირებელი მოპყრობის, ძალადობის, მუქარის, თვითნებობის და პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების, შენახვის და გავრცელების ფაქტებზე ვაჟა გიგოლაშვილს ბრალი წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ვ.გ.-მ, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რ.მ.-ს მიმართ განახორციელა დამამცირებელი მოპყრობა, კერძოდ, ძალადობის მუქარით ამ უკანასკნელს გაპარსა წვერი, გახადა სასულიერო პირის შესამოსელი, რითაც ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩააყენა რ.მ.

ვ.გ.-მ, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რ.მ.-ს მიმართ რამდენჯერმე განახორციელა ფიზიკური ძალადობა და დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით თუ კვლავ ჩაიცმევდა სასულიერო პირის შესამოსელს, ამ მიზნით მან თვითნებურად გახადა, წაართვა და აუკრძალა მისი ჩაცმა.

ვ.გ.-მ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რ.მ.-ს ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ მოიპოვა და შეინახა ამ უკანასკნელის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ინფორმაცია, ვიდეოჩანაწერების სახით, რაც ინტერნეტის მეშვეობით ასევე უკანონოდ გაავრცელა.

სამართალდამცველებმა ვ.გ. 2022 წლის 21 თებერვალს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის პირველი ნაწილით (დამამცირებელი მოპყრობა), 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) (ძალადობა), 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) (მუქარა), 360-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითნებობა) და 1571 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გავრცელება ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის მეშვეობით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# „კაშნეთი ჩამოუხრჩვია თავი, ცოტა გულჩათხრობილი ბავშვი იყო“

## ლანჩხუთში 21 წლის სტუდენტმა ქალიშვილმა თავი ჩამოიხრჩო

ლანჩხუთში სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

21 წლის ნ. მამასახლისი ჩამომხრჩვალი ოჯახის წევრებმა ნახეს.

– სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ძალიან ჭკვიანი გოგო. ცოტა გულჩათხრობილი ბავშვი იყო. დილით ჩვეულებრივ ამდგარა. მერე შეგვიანებია და დედას მოუკითხავს. კაშნეთი ჩამოუხრჩვია თავი. ვერავინ ვერაფერს უკავშირებს თვითმკვლელობის მიზეზს, – ამბობს „გურია ნიუსთან“ წყარო.

როგორც ცნობილია, ოჯახში არანაირი ფინანსური პრობლემა არ ჰქონიათ.

– პირიქით, საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობენ, – უთხრეს „გურია ნიუსს“.

# 380.000 ლარის მითვისებისთვის ბუღალტერი პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა კომპანიის კუთვნილი დაახლოებით 380.000 ლარის მითვისებისთვის კომპანიის ბუღალტერი პასუხისგებაში მისცეს.

ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოავლინეს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტი, რაზეც ერთი პირი პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც დასაქმებული იყო ხსენებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ბუღალტრის პოზიციაზე და რომელსაც მინდობილი ჰქონდა კომპანიის საბანკო ანგარიშების მართვის უფლება, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მიითვისა კომპანიის კუთვნილი დაახლოებით 380.000 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სენაკში სახლი გაქურდეს

ქურდობა სენაკში – არსებული ინფორმაციით, გაქურდულია სახლი, სადაც სარემონტო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები ცხოვრობდნენ.

მუშების ინფორმაციით, წაღებულია ელექტროლეიბები, გამათბობლები და სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო ძვირადღირებული ხელსაწყოები.

მუშებს ლეიბები და გამათბობლები იმ საავადმყოფომ ათხოვა დროებითი საცხოვრებლისთვის, რომელსაც ისინი არემონტებდნენ.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 117-ე, ქურდობის მუხლით, მიმდინარეობს.

# ავარია რუსთავში – მანქანა დაიწვა



რუსთავში, 22 თებერვალს, ავარიის შედეგად მსუბუქი ავტომობილი დაიწვა.

ინფორმაციას „ინფო-რუსთავი“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, საღამოს ქალაქში, კოსტავას გამზირზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც მსუბუქ ავტომობილს ცეცხლი წაეკიდა.

მანქანიდან 3 მგზავრი გადმოიყვანეს.

2022, 25 თებერვალი, №40

# ნატო: „ვგზავნით დამატებით თავდაცვით სახმელეთო და საჰაერო ძალებს ალიანსის აღმოსავლეთში, ასევე დამატებით საზღვაო რესურსს“

ჩვენ ვგზავნით დამატებით თავდაცვით სახმელეთო და საჰაერო ძალებს ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე დამატებით საზღვაო რესურსს. ჩვენ გავზარდეთ ჩვენი ძალების მზაობა, რეაგირება იქონიონ ყველა ვითარებაზე.

ამის შესახებ ნატოს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი.

ალიანსის განმარტებით, რუსეთის ქმედებები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას, რასაც ექნება გეოსტრატეგიული შედეგები. ნატო გააგრძელებს ყველა აუცილებელი ზომის მიღებას ყველა მოკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველსაყოფად.

„ჩვენ უძლიერესად ვგმობთ რუსეთის შემაშფოთებელ თავდასხმას უკრაინაზე, რომელიც აბსოლუტურად გაუმართლებელი და არაპროვოცირებულია. ჩვენი ფიქრები გარდაცვლილებთან, დაშავებულებთან და უკრაინის მოსახლეობასთანაა. ჩვენ, ასევე, ვგმობთ ბელარუსის ქმედებას ამ თავდასხმის ხელშეწყობისთვის.

განახლებული თავდასხმა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის, გაეროს წესდების მძიმე დარღვევაა და ასევე, სრულად ეწინააღმდეგება რუსეთის მიერ ჰელსინკის დასკვნითი აქტით, პარიზის ქარტიით, ბუდაპეშტის მემორანდუმითა და ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს არის აგრესიის აქტი დამოუკიდებელი მშვიდობიანი ქვეყნის წინააღმდეგ.



ჩვენ ვდგავართ უკრაინელი ხალხის, მათი ლეგიტიმური, დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გვერდით. ჩვენ ყოველთვის სრულ მხარდაჭერას გამოვუცხადებთ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ტერიტორიული წყლების ჩათვლით.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები და გამოიყვანოს სამხედრო ძალები უკრაინიდან და მისი შემოგარენიდან, სრულად სცეს პატივი ჰუმანიტარულ სამართალს და ხელი არ შეუშალოს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას საჭიროების მქონე ადამიანებისთვის.

მკაცრად ვგმობთ რუსეთის გადაწყვეტილებას უკრაინის სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, ეს კიდევ უფრო მეტად არღვევს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ეწინააღმდეგება მინსკის შეთანხმებას, რომლის ხელმომწერიც არის რუსეთი. მოკავშირეები არასდროს მიიღებენ ამ უკანონო აღიარებას.

მოვუწოდებთ რუსეთს, უარი თქვას ძალადობასა და აგრესიაზე. რუსეთის ლიდერებმა უნდა აიღონ სრული პასუხისმგებლობა მათი ქმედებების შედეგებზე. რუსეთი გადაიხდის ძალიან მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფასს. ნატო გააგრძელებს კოორდინირებას, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროკავშირთან.

ამ კრიზისის განმავლობაში ნატომ, მოკავშირეებმა და ჩვენმა პარტნიორებმა გაიღეს მაქსიმალური ძალისხმევა რუსეთთან დიპლომატიისა და დიალოგის გამოსაყენებლად, მათ შორის, უმაღლეს დონეზე და გააკეთეს ბევრი არსებითი შეთავაზება ევროატლანტიკურ რეგიონში ყველა ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად. ჩვენ მუდმივად ვიწვევდით რუსეთს მოლაპარაკებებზე ნატო-რუსეთის საბჭოში. რუსეთს ჯერ კიდევ არ უპასუხია. რუსეთი და მხოლოდ რუსეთია, ვინც ესკალაციის გზა აირჩია.

რუსეთის ქმედებები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას და მათ ექნებათ გეოსტრატეგიული შედეგები. ნატო გააგრძელებს ყველა აუცილებელი ზომის მიღებას ყველა მოკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვგზავნით დამატებით თავდაცვით სახმელეთო და საჰაერო ძალებს ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე დამატებით საზღვაო რესურსს. ჩვენ გავზარდეთ ჩვენი ძალების მზაობა, რეაგირება იქონიონ ყველა ვითარებაზე.

დღეს ჩვენ ასევე გავმართეთ კონსულტაციები ნატოს მეოთხე მუხლის შესაბამისად. ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველა მოკავშირის დასაცავად ჩვენი თავდაცვითი გეგმის შესაბამისად, გადავდგათ დამატებითი ნაბიჯები ალიანსის მასშტაბით შეკავებისა და თავდაცვის შემდგომი გაძლიერების მიზნით. ჩვენი ზომები არის და რჩება პრევენციული, პროპორციული და არაესკალაციური.

ჩვენ ერთიანი ვართ ერთმანეთის დასაცავად“ – ნათქვამია ნატოს განცხადებაში.

# ზელენსკი: „უკრაინამ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა“



უკრაინამ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა ოფიციალურად გაწყვიტა.

ამის შესახებ განცხადება 24 თებერვალს ქვეყნის პრეზიდენტმა, ვოლოდიმერ ზელენსკიმ გააკეთა.

მან ასევე თქვა, რომ ის იარაღს ყველას მისცემს, ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა აქვს.

გარდა ამისა, ზელენსკიმ მოუწოდა უკრაინის მოქალაქეებს, განსაკუთრებით ვეტერანებს, ვისაც ძალა შესწევს, დაეხმარონ სამხედრო ძალებს.

მისი თქმით, არმიას მხარი ყველამ უნდა დაუჭიროს, რადგან ისინი გმირულად იბრძვიან.

მან რუსეთის მოქალაქეებსაც მიმართა, ვისაც ნამუსი ჯერ კიდევ შერჩენია, გამოვიდეს რუსეთის ქუჩებში და გააპროტესტოს ომი უკრაინის წინააღმდეგ.

# ჯონსონი: „რუსეთის წინააღმდეგ მასშტაბური ეკონომიკური სანქციები დაწესდება“

– ვლადიმერ პუტინი თავს დაესხა მეგობარ ქვეყანას ყოველგვარი პროვოკაციისა და სარწმუნო საბაბის გარეშე.

ასე აფასებს უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს, სატელევიზიო მიმართვაში, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი.

მისი თქმით, რუსეთთან მიმართებით არსებული შიშები გამართლდა და მან პირობა დადო, რომ დიდი ბრიტანეთი და მისი მოკავშირეები, „რუსეთს უფრო მასშტაბურ ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებენ“.

– ვლადიმერ პუტინი თავს დაესხა მეგობარ ქვეყანას, ყოველგვარი პროვოკაციისა და სარწმუნო საბაბის გარეშე. უთვალავი რაკეტა და ბომბი აწვიმდა სრულიად უდანაშაულო მოსახლეობას.

ფართომასშტაბიანი შეჭრა ხდება ხმელეთის, საჰაერო და საზღვაო გზით. ჩვენი ყველაზე საშინელი შიშები ახლა ახდა და ყველა ჩვენი გაფრთხილება ტრაგიკულად ზუსტი აღმოჩნდა. დაწესებული იქნება მასშტაბური ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიმართ, უკრაინაში შეჭრის გამო, რომელიც დროულად არის შემუშავებული, რუსეთის ეკონომიკის შეფერხებისთვის, – განაცხადა ჯონსონმა.

ამასთან, ბორის ჯონსონმა მის სატელევიზიო მიმართვაში რუს ხალხსაც მიმართა.



– არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი თქვენი სახელით გაკეთდა, ან რომ თქვენ გსურთ გარიყულის სტატუსი, რომელსაც ეს ომი პუტინის რეჟიმს მოუტანს, – განაცხადა ჯონსონმა.

# მაკრონი: „ომის ამ აქტს მტკიცედ და ერთიანად ვუპასუხებთ!“



– ომის ამ აქტს სისუსტის გარეშე, ცივსისხლიანად, მტკიცედ და ერთიანად ვუპასუხებთ, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა.

ის მიესალმა უკრაინის პრეზიდენტის გამბედაობასა და სიმტკიცეს.

– სიტყვის დარღვევით, დიპლომატიურ გზაზე უარის თქმით, ომის არჩევით, პრეზიდენტმა პუტინმა არა მხოლოდ შეუტია უკრაინას, არამედ უკრაინის სუვერენიტეტის შელახვა გადაწყვიტა. ეს გარდამტეხი მომენტია ევროპის ისტორიაში. რუსეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, სერიოზული თავდასხმა განეხორციელებინა ევროპაში მშვიდობასა და სტაბილურობაზე, – აღნიშნა ემანუელ მაკრონმა.

# უკრაინა: „სჩასტიე და მარიუპოლი დავიბრუნეთ“

უკრაინელმა სამხედროებმა ლუგანსკის ოლქის ქალაქებზე სჩასტიესა და მარიუპოლზე სრული კონტროლი აღადგინეს.

ინფორმაციას უკრაინული მედია უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, მძიმე ბრძოლები გრძელდება ხარკოვის მიმართულებით და უკრაინის გაერთიანებული ძალების ოპერაციის რაიონში, სადაც მოწინააღმდეგე მხარემ დანაკარგი განიცადა.

– ჩვენმა ძალებმა სრული კონტროლის ქვეშ დააბრუნეს ქალაქები მარიუპოლი და სჩასტიე. განადგურებულია მტრის სულ მცირე 6 თვითმფრინავი, 2 შვეულმფრენი და ათობით ჯავშანმანქანა, – აცხადებენ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში.

შტაბის ცნობით, ასევე, რთული ვითარებაა ხერსონის მიმართულებით.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**






# გარკვეულია გაურკვევლობა— ყველაფერი საპასუხო მატჩებში გადაწყდება




**ატლეტიკო-მანჩესტერი 1:1**
**მადრიდი. ვანდა მეტროპოლიტანო**
**1:0 ჟოაო ფელიქსი (7), 1:1 ელანგა (80)**

**ატლეტიკო:** ობლაკი; ვრსალიკო, ხიმენესი, სავიჩი, მანდავა; ლორენტე, ერერა, კონდოგბია, ლოდი (ლემარი 76); კორეა, ჟოაო ფელიქსი (გრიზმანი 75)

**მანჩესტერი:** დე ხეა; ლინდელოფი (ვანბისაკა 66), ვარანი, მაგუაირი, შოუ (ტელეში 67); ფრედი, პოგბა (მატიჩი 66); რაშფორდი (ელანგა 75), ბრუნო ფერნანდეში, სანჩო (ლინგარდი 82); რონალდუ

ამ წყვილში გარკვეული მხოლოდ ის არის, რომ არაფერი არაა გარკვეული. ასე მოკლედაც შეიძლებოდა ამ წყვილის შეფასება.

ატლეტიკოს კარგი დასაწყისი ჰქონდა და ჟოაო ფელიქსამ უკვე მე-7 წუთზე დააწინაურა საკუთარი გუნდი.

მანჩესტერს დასაკარგი არაფერი ჰქონდა, ხელებიც არ ჩამოუშვია და თანაფარდობის აღდგენა მატჩის მიწურულს შეძლო. ისიც უნდა ითქვას, რომ რალფ რანგნიკის გუნდს ხასიათი გაუჩნდა და ბოლომდე ბრძოლაში რჩება, რაც წინამორბედი მწვრთნელისგან აკლდა. მიუხედავად იმისა, რომ მანჩესტერი თითქმის არ უტევდა, ეს ხასიათი მაინც გამოიჩინა. მანჩესტერელთა ასეთი სისუსტე ატლეტიკოს პრესინგის ბრალი იყო, რომელსაც მთელ მოედანზე მიმართავდა.

თუმცა, საბოლოოდ 1:1 და ყველაფერი მანჩესტერში გადაწყდება, სადაც არც ატლეტიკო იქნება უშანსოდ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – რენან ლოდი.

იმ 75 წუთში, რომელმაც ფეხბურთელმა მოედანზე გაატარა, სისხლი გაუშრო მანჩესტერელთა მცველებს. ლოდი ნამდვილი თავსატეხი იყო ინგლისელებისთვის და მისი განეიტრალება ასევე რთული იქნება საშინაო მატჩშიც.

**ბენფიკა-აიაქსი 2:2**
**ლისაბონი. და ლუჟი**
**0:1 ტადიჩი (18), 1:1 ალე (26სკ), 1:2 ალე (29), 2:2 იარემჩუკი (72)**

**ბენფიკა:** ვლახოდიმოსი; ჟილბერტო (გონსალვეში 90), ოტამენდი, ვერტონგენი, გრიმალდო; სილვა, ვაიგლი, ტაარაბტი (ბერნარდო 85), ევერტონი (იარემჩუკი 62); ნუნიესი (ლაზარო 90), რამოსი

**აიაქსი:** პასვეერი; მაზრაუი (რენში 90), ტიმბერი, მარტინესი, ბლინდი (ტალიაფიკო 73); ალვარესი, ბერგუისი, გრავენბერხი (კლაასენი 73); ანტონი, ალე, ტადიჩი

ამ წყვილის პირველმა მატჩმაც გაამართლა მოლოდინი. ორივე გუნდი შეტევაზე ორიენტირებულ ფეხბურთს აჩვენებს და მაყურებელმა ამჯერადაც იხალისა. ერთია, ვინ იქნება საბოლოოდ გამარჯვებული, ეს ამსტერდამში გაირკვევა.

ესტადიო და ლუჟზე აიაქსი ორჯერ იგებდა, მაგრამ მასპინძლებმა ორჯერვე გაათანაბრეს და გაცილებით მეტი შანსი დაიტოვეს, ვიდრე წაგების შემთხვევაში ექნებოდათ.

პირველ ტაიმში აიქსი ბევრად უკეთ გამოიყურებოდა და 2 გოლიც გაიტანა. რომ არა ალეს მიერ საკუთარ კარში ჩაჭრილი ბურთი, მატჩის ბედის გადაწყვეტა ლისაბონშივე შეეძლოთ. თუმცა, ახლა უკვე დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს, რადგან ბენფიკას თავისი პლუსები აქვს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – რაფაელ სილვა.

სილვამ დაცვის მარჯვენა ფლანგზე ბევრი პრობლემა შეუქმნა აიაქსს. ალბათ, მასპინძელთა ყველაზე საშიში ფეხბურთელი ამსტერდამელებისთვის ის იყო. მისი ძალისხმევით გავიდა ალეს ავტოგოლი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# საქართველო–რუსეთის მატჩი გადაიდო




27 თებერვალს საქართველოსა და რუსეთს შორის გასამართი რაგბი ევროპის ჩემპიონატის მატჩი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე ტურში, „ბორჯღალოსნებს“ „დინამო არენაზე“ რუსეთთან უნდა ეთამაშათ, მაგრამ რაგბი ევროპამ თამაში ჯერჯერობით უცნობი ვადით გადადო.

აი, რას წერს რაგბი ევროპის ვებგვერდი:

– შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რაგბი ევროპამ 27 თებერვალს თბილისში, საქართველოსა და რუსეთს შორის გასამართი მატჩის გადადების გადაწყვეტილება მიიღო.

რადგან თამაში 2023 წლის მსოფლიო თასის ეგიდითაც უნდა გამართულიყო, რაგბი ევროპა კონსულტაციებს გადის მსოფლიო რაგბთან, რის შემდეგაც მატჩის ჩატარების სავარაუდო ვადები გაირკვევა.

საქართველოს რაგბის კავშირი მჭიდრო კონტაქტზეა რაგბი ევროპასთან და მსოფლიო რაგბთან, დამატებით ინფორმაციას მოგაწვდით დაუყოვნებლივ.

რაგბი ევროპის გადაწყვეტილებით, გაუქმდა 27-28 თებერვალს მოსკოვში გასამართი თოვლის რაგბის ჩემპიონატი, 26 თებერვალს ესპანეთსა და რუსეთის ქალთა ნაკრებებს შორის მადრიდში გასამართი მატჩი კი, ჯერჯერობით ძალაში რჩება.

## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# დღეს ეროვნული ჩემპიონატი იწყება



საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი 25 თებერვალს დაიწყება და პირველი ტური 3 დღეს გასტანს.

### 25 თებერვალი

### დინამო (ბთ)-სიონი

**19:00 ბათუმი. აჭარაბეთარენა**

სეზონის პირველი მატჩში შარშანდელი ჩემპიონი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ ბოლნისის სიონს დაუხვდება.

ცხადია, ფავორიტად ზღვისპირელები მიიჩნევიან. მით უფრო, რომ გია გეგუჩაძის გუნდმა გასული წლის შემდეგ, ჩვენი ჩემპიონატისთვის, სოლიდური შევსება მიიღო.

სიონის მიზანი კი ელიტაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

#### დინამო (ბთ)

**მივიდნენ:** მილან რადინი (სერბეთი), ელგუჯა ლობჯანიძე, გიორგი რეხვიაშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი, სტეფან დენკოვიჩი (სერბეთი), ჯანო ანანიძე, გიორგი ბეგაშვილი, ლუკა ქაფიანიძე, გუგა ფალავანდიშვილი.

**წავიდნენ:** გიული მანჯგალაძე, ლუკა ხარატიშვილი (იჯარით), ლაშა შინდაგორიძე, გაგი მარგველაშვილი, გიორგი ნიქაბაძე, ვაკო თევდორაძე, ლუკას გროცურეკი, მალხაზ გაგოშიძე, მიხეილ ავალიანი (იჯარით).

#### სიონი

**მივიდნენ:**ლაშა კოხრეიძე, ლუკა ჩაგინავა, გიორგი გადრანი, გიორგი ჩოჩიშვილი, გიორგი უგრეხელიძე, რაფაელ ჩუკვურა (ნიგერია), ალექს ბენგალა (კამერუნი), ანდრო ნემსაძე, რაფაელ დესოისა (ისრაელი), ოთო კვერნაძე, ზაზა ციცქიშვილი, ანატოლი მესიაჩენკო.

**წავიდნენ:** გურამ ადამაშვილი, ლაშა ქოჩლაძე, დათა სიჭინავა, ბექა გაბისკირია, გიორგი ივანიაძე, გიორგი კახელიშვილი, გიორგი ჩელებაძე, ილხამ ალიევი, ჯაბა უგულავა.

### დინამო (თბ)-ტორპედო

**21:00 თბილისი. დინამო არენა**

ტურის ცენტრალური მატჩი... „ქართული დერბი“... რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყვნენ გუნდები, მათ შორის დაპირისპირება მაინც გამორჩეულია.

ასე უნდა იყოს ახლაც. თუ ამასაც დავუმატებთ, რომ წელს ტორპედო მოძლიერდა და პრეტენზიას მაღალ ადგილებზე აცხადებს, კიდევ უფრო ზრდის დაძაბულობას.

#### დინამო (თბ)

**მივიდნენ:** უსმანე კამარა (გვინეა), თორნიკე კირკიტაძე, დმიტრი ანტილევსკი (ბელარუსი), სტანისლავ ბილენკი (უკრაინა), სტეფენ ბიტოკი (ნიგერია), დავით კერესელიძე.

**წავიდნენ:**გიორგი მამარდაშვილი, ზორან მარუშიჩი, ბაქარ ქარდავა, მილან რადინი, ნოდარ იაშვილი, გიორგი ქიმაძე, ნოდარ ქავთარაძე, ომარ მიგინეიშვილი, დავით კობოური, ფაბიენ სპორქსლედე, გიორგი კუცია.

#### ტორპედო

**მივიდნენ:** გიორგი პაპუნაშვილი, გიორგი არაბიძე, გიორგი კუხიანიძე, გიორგი ქიმაძე, გიული მანჯგალაძე, დინო ჰამზიჩი, ნიკა სანდოხაძე, ირაკლი ბუღრიძე, ლაშა შერგელაშვილი, აკაკი შულაია.

**წავიდნენ:** ოლეგ მამასახლისი, დმიტრი რეკიში, ალეკ მუდიმუ, დავით ასათიანი, ლევან წოწონავა, სამუელ ინკუმი, გიორგი აბზიანიძე, ოთარ კვერნაძე, ლუკა ქაფიანიძე, ალეკო ჩაკვეტაძე, მაგამედ პარაგულგოვი, ლაშა ჩალაძე, ლევან შოვნაძე.

### 26 თებერვალი

### დილა-გაგრა

**18:00 გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

გორის დილა წელსაც მედლებისთვის მებრძოლი გუნდი ჩანს. ანდრეი დემჩენკოს გუნდი შინ დაუხვდება ელიტაში 10 წლის შემდეგ დაბრუნებულ გაგრას, რომლის მიზანი სხვაგვარი იქნება – უმაღლესში ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

სეზონი გვიჩვენებს, ვინ როგორ შეასრულებს ამოცანას.

#### დილა

**მივიდნენ:** თორნიკე ძოწენიძე, დემეტრე ბულისკერია, გიორგი ლომთაძე, თამაზ მაქაცარია, ჰაჯი დრამე (მალი).

**წავიდნენ:**მიხეილ მუჯრიშვილი, ლუკა გუგეშაშვილი, ანდრო ნემსაძე, დავით მაისაშვილი, ტიერი მანზი, ირაკლი ბუღრიძე, დიდერ კოუგბენია, ირაკლი ბიძინაშვილი, ოუსმანე კამარა.

#### გაგრა

**მივიდნენ:** ბექა ქურდაძე, ვალერი ოლხოვი, ნიკა ჭანტურია, ზურაბ სეხნიაშვილი, თეიმურაზ შონია, თემურ ჩოგაძე, მათე კვირკვია, გიორგი ბუხაიძე, შოთა კერძევაძე.

**წავიდნენ:** დავით კერესელიძე, გია ჩადუნელი, დავით საჯაია, რატი კაკიაშვილი, ლუკა კიკაბიძე, გაგა გაზდელიანი, თეიმურაზ მარკოზაშვილი, გიორგი გვიშიანი, თამაზ მაქაცარია, თორნიკე მუმლაძე დავით, იონანიძე, დიტო ფაჩულია, გურამ სამუშია.

### ლოკომოტივი-თელავი

**20:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2**

ორივე გუნდი სეზონს დასუსტებული ხვდება. ლოკომოტივიც და თელავიც სათამაშო ბიზნესზე რეგულაციების შემოღებამ დააზარალა. დიდი ალბათობით, ორივე მათგანს ელიტაში დასარჩენად მოუწევს ბრძოლა.

#### ლოკომოტივი

**მივიდნენ:** თორნიკე ძებნიაური (იჯარის დასრულება), შოთა შეყილაძე (იჯარის დასრულება).

**წავიდნენ:** გიორგი დიასამიძე, ალექსანდრე გურეშიძე, ნიკა სანდოხაძე, თეიმურაზ შონია, თორნიკე კირკიტაძე, კახა კახაბრიშვილი, ირაკლი სიხარულიძე, მამია გავაშელიშვილი, დავით უბილავა, ულად-ომარ იმრანი, ადამა ვადე, მარკ სპეკელნიკი.

#### თელავი

**წავიდნენ:** თორნიკე ძოწენიძე, ლაშა შერგელაშვილი, ირაკლი რუხაძე, მიხეილ ბაშელეიშვილი, ნიკოლოზ ბაშელეიშვილი, გიორგი ჯანელიძე, შოთა შეყილაძე, თემურ ჩოგაძე, რაფაელ ჩუკურა.

### 27 თებერვალი

### საბურთალო-სამგურალი

**18:00 თბილისი. მიხეილ მესხი**

საბურთალო ფავორიტად ითვლება. ლევან კორღალიძის გუნდი ლოკომოტივის ფეხბურთელებით გაძლიერდა და წელს მაღალ ადგილებზე ექნება პრეტენზია. სამგურალი გასულ წელს კერკეტი კაკალი იყო და ბევრი ლიდერი გაამწარა. მეტიც, საქართველოს თასის ფინალშიც ითამაშა.

წელს იმერლებს სპეციალისტები უფრო სუსტ გუნდად მიიჩნევენ, მაგრამ, ვნახოთ...

#### საბურთალო

**მივიდნენ:** ნოდარ იაშვილი, ნოდარ ქავთარაძე (იჯარით), დავით უბილავა, ბაქარ ქარდავა, ირაკლი სიხარულიძე, ალექსანდრე გურეშიძე, გია ჩადუნელი, ლაშა შინდაგორიძე.

**წავიდნენ:**დმიტრი მადრიჩენკო, ოგაგა ოდუკო, ვიქტორ მუდრაკი, აკაკი შულაია, გიორგი ერისთავი, რომან ჩაჩუა, თორნიკე ძებნიაური, გიორგი კვერნაძე, ლაშა კოხრეიძე.

#### სამგურალი

**მივიდნენ:** მამია გავაშელიშვილი, მიხეილ ბაშელეიშვილი, ირაკლი რუხაძე, დავით მაისაშვილი, ანდრია დევდარიანი, ლევან შოვნაძე, ჯეფერსონ ჯერალდო.

**წავიდნენ:**გაგა გაზდელიანი, პაპუნა ფონიავა, გიორგი ბუხაიძე, ირაკლი ლექვთაძე, დათო კირკიტაძე, კახაბერ მეშველიანი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

### ტუტკა (ტოლიკი) შულაიას მონატრება!



ჩემო საყვარელო შვილო, ტუტკა, 26 თებერვალს გისრულდება 50 წელი. უშენოდ ვხვდებით ამ თარიღს შენი გამწარებული დედა და დები, დისშვილები და ახლო ნათესავები. მწარე გულისტკივილითა და უსაზღვრო მონატრებით გილოცავთ იუბილეს. ამ დღეს უშენოდ თუ შევხვდებოდით, ვერ წარმომედგინა. მართალია, 50 წლის გახდებოდი, მაგრამ ჩვენთვის მუდამ 20 წლის მხიარულ და ხალისიან ბიჭად დარჩი. თურმე რა დაუნდობელი ყოფილა, შვილო, წუთისოფელი. შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება. შენი არყოფნით დრო გაჩერდა ჩვენთვის და არსებობამ აზრი დაკარგა. ჩვენი ოჯახის იმედი და სიხარული, ცხოვრების აზრი აღარ გვყავხარ. უშენოდ ჩამიქრა სხივი თვალებში. ცრემლგამშრალ დედას საშინელი დედობა მარგუნა ბედმა. ჩაფერფლილი დადიან შენი დაიკოები. ძნელია უშენობა. მეზობლებში სიყვარულს აფრქვევდი, დიდი სიყვარული შეგეძლო, ალალი გული გქონდა, ყველას ეფერებოდი, ესიყვარულებოდი, უღალატო მეგობარი იყავი. ძალიან გვენატრები, შვილო, ტუტკა, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო საამაყო შვილო. ვაი, რომ შენ მაგივრად ცივ ქვას უნდა მივულოცო, ვითომ მოვეფერო და ამით მთავრდება ეს დღე. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ შენი სულის უკვდავსაყოფად, რათა შენმა სულმა დაიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი გამწარებული დედა მიმოზა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 2. ოსური ცეკვა; 3. ისტორიული ციხესიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 5. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 6. ხეოლოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში; 7. ლეო დელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 11. ნაკვერჩხლიანი ნაცარი; 13. აშშ-ის პრეზიდენტი; 14. ქიმიური ელემენტი, აირი; 15. გერმანული საგმირო ეპოსი; 16. სპორტსმენთათვის აკრძალული აღმგზნები პრეპარატი; 17. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი ან რომი; 19. თვალის ფერადი გარსი; 20. გენუისა და ვენეციის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. ზოდიაქოს ნიშანი; 4. აზერბაიჯანული ეროვნული კერძი; 8. ტერიტორია წყალგამყოფ მთებს შორის; 9. ბალკანეთის ხალხების საფერხულო ცეკვა; 10. რძის პროდუქტი; 12. კუთხე საქართველოში; 14. ჩახურებული ფქვილი; 15. საგნის გარე, ზღვრული მოხაზულობა; 16. ფრანგი მოდელიორი; 18. დაბალი ხარისხის ალმასი; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 22. ძვირფასი ბეწვით გაწყობილი ქალის კაბის საყელო; 23. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბექაური; 2. არგუმენტი; 3. ესკულაპი; 4. ლაუდერი; 5. ნაგანი; 9. რიგელი; 11. შაბლონი; 12. ბაროკო; 14. სამსუნი; 18. იახტა; 19. სეიმი.

**თარაზულად:** 4. ლაზერი; 5. ნეგროიდი; 6. ისანი; 7. მურტალო; 8. სუბარი; 10. პუნში; 13. როსინი; 15. ელეგია; 16. პოლო; 17. ფიცი; 20. სკვერი; 21. ხორუმი; 22. ვატმანი; 23. მაკეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოიოტი; 2. რიქშა; 3. სურო; 5. ჯეჯილი; 6. სტელა; 7. კონუნგი; 11. მურსია; 13. პრატერი; 14. პრესა; 15. ბედუინი; 16. ონაგატა; 17. ორბანი; 19. ალუჩა; 20. ჯუნო.

**თარაზულად:** 1. კარკასი; 4. ბანჯო; 8. რიოში; 9. ჯამე; 10. ორშიმო; 12. ბურვილი; 14. პესო; 15. ბიჭვითა; 16. ომეგა; 18. აგუნა; 21. ბედია; 22. ტერნერი; 23. ჩონგური.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 3.1331


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2059


ევრო — 3.5031


100 რუსული რუბლი — 3.7224

## ამინდის პროგნოზი 25 თებერვლისათვის




## ლუკაკუმ ტუხელი გააკრიტიკა



ჩელსის ფორვარდი რომელუ ლუკაკუ გუნდიდან წასვლაზე ფიქრობს, რადგან ბოლო პერიოდში იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში და ამის გამო ის უკმაყოფილებას არ მალავს.

ლუკაკუმ ტომას ტუხელიც გააკრიტიკა და თქვა, რომ ის მწვრთნელისგან ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს.

ლუკაკუ შესაძლოა ინტერში დაბრუნდეს, თუმცა მას სხვა ვარიანტებიც აქვს.

## ედენ აზარი: „რეალში ჯერ ჩემი სიტყვა არ მითქვამს“

მადრიდის რეალის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ მას ჯერ რეალში თავისი სიტყვა არ უთქვამს და ის აუცილებლად შეეცდება, რომ ეს ფაქტორი გამოასწოროს:



– რეალში ჯერ კიდევ მენდობიან და ვალდებული ვარ, რომ ნდობა გავამართლო. სხვა ვარიანტი უბრალოდ არ არსებობს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაკარგული დრო ავინაზღაურო.

## რუდიგერმა შესაძლოა ჩელსისთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს

ჩელსის გერმანელმა ცენტრალურმა მცველმა ანტონიო რუდიგერმა ჩელსიდან წასვლა გადაიფიქრა და შესაძლოა მან გუნდთან ახალი კონტრაქტიც კი გააფორმოს.

ტომას ტუხელი მას ბოლო პერიოდში ენდობა და რუდიგერი გაცილებით ხშირად გამოდის მოედანზე, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა.

ამის გამო ანტონიომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ჩელსის არ დატოვებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გიო ხუციშვილი 60 წლის გახდებოდა



მომღერალი გიო ხუციშვილი 60 წლის გახდებოდა. მისი მრგვალი საიუბილეო თარიღი პანდემიის გამო, მისმა უახლოესმა მეგობრებმა მოკრძალებულად აღნიშნეს.

ფართო საზოგადოება მას როგორც მომღერალს იცნობდა, არადა, პროფესიით მსახიობი იყო. ის გადაღებულია 10-მდე ფილმში, მათ შორის „სიყვარული ყველას უნდა“, „თბილისი ჩემი სახლია“, „ხარება და გოგია“...

გიო ხუციშვილი სიმსივნესთან ბრძოლაში დამარცხდა და 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შემოქმედებითი საღამო გამართა, სადაც მეგობრებთან ერთად ულამაზესი საღამო ჩაატარა. კონცერტი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გიო ხუციშვილის სახელობითი ვარსკვლავის გახსნით და ულამაზესი ფეიერვერკით დასრულდა.

ხელოვანის გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ, საბურთალოზე გიო ხუციშვილის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



**25 თებერვლისათვის**

**ვერძი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **კურო** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **ტყუპები** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **კირჩხიბი** – დღევანდელი მოვლენები თქვენს შემდგომ ცხოვრებაზეც მოახდენს გავლენას. უსარგებლო კავშირები სასწრაფოდ გაწყვიტეთ. **ლომი** – პარტნიორთან ურთიერთობა გეძაბებათ. ბიზნესში ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **თხის რქა** – მერკურის მფარველობის წყალობით პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **მერწყული** – ილუზიებსა და ცრუ დაპირებებს ნუ აჰყვებით. აჩქარება საქმეს მხოლოდ ავნებს. **თევზები** – კრიტიკული დღეა. სინდისის ხმას მოუსმინეთ და ისე იმოქმედეთ. საღამო საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ახლა დავრწმუნდი, რომ ყველა მამას ცხოვრებაში დგება ბედნიერი მომენტი...

– რა მოხდა?

– რა და გუშინ შვილმა დამირეკა და მეკითხება: „მამი, ლუდი რამდენი წამოგიღო?“

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– აი, ხედავ, ძვირფასო, სასწაულებიც ხდება! დღეს შაბათი საღამოა, მე კი ფხიზელი ვარ!

– არ მინდა, გული გაგიტეხო, მაგრამ დღეს უკვე სამშაბათია!

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– შეგიძლია მითხრა, შენი ძროხა დღეში 30 ლიტრ რძეს როგორ იწველება?

– სულ უბრალოდ, შევდივარ ბოსელში და ალერსიანი ხმით ვეუბნები: „აბა, დღეს რა გვექნება, რძე თუ ძროხის ხორცი?“

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– სახლში კაცის საქმე არასოდეს გააკეთო.

– რატომ?

– ამასწინათ სახლში მე თვითონ დავაყენე კედელზე თარო და მერე სამი დღე ქმარს ვარწმუნებდი, რომ საყვარელი არ მყავს.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ნიანგმა კვერცხები დადო... ვინ იცის, რატომ?

– იმიტომ, რომ ბებერია და აღარ სჭირდება... – უპასუხა გიგიმ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დემნა: „მე მინდა, მაკდონალდსში ბალენსიაგას რეზინის ფეხსაცმლით ვიარო“



დიზაინერი დემნა გვასალია ყოველთვის უდიდესი ტკივილით საუბრობს აფხაზეთის ომზე და ათასობით ადამიანის საკუთარ სამშობლოში დევნილობაზე. სამწუხაროდ, ეს სტატუსი დემნამ და მისმა ოჯახმაც მიიღო.

დიზაინერმა უცხოელ ჟურნალისტთან ინტერვიუში მისი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდსა და ამ თემატიკაზე მიძღვნილ ჩვენებაზე ისაუბრა:

– რაც ჩემს ქვეყანაში მოხდა, უდიდესი ტრაგედიაა. საკუთარ ქვეყანაში გავხდი დევნილი. დღეს ვუსმენ, რაც მსოფლიოში ხდება და ვბრაზდები. ამ ხალხს არ უნდა გაიგოს, რომ არავინ ალაგებს ბარგს და ტოვებს საკუთარ სახლს თავისი სურვილით. ტოვებენ იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვთ. როცა კოლექციის ჩემს ყველაზე დიდ შიშებზე გაკეთება გადავწყვიტე, ვიცოდი, რომ ჩვენება პარიზის იმ ხიდთან იქნებოდა, რომელიც დევნილების უბანთან არის დამაკავშირებელი გზა.

***– ამიტომაც შეარჩიეთ მაკდონალდსი, დევნილების ხიდი და ევოლუციის მუზეუმი ჩვენებების ლოკაციებად?***




– დიახ. მაკდონალდსი ერთ-ერთი პირველი იყო, რაც დასავლეთიდან საქართველოში შემოვიდა, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა. საქართველოში მაკდონალდსი კაპიტალიზმის ავტორივით იყო. ჩვენ ბავშვები ვიყავით, როცა მაკდონალდსი გახდა ადგილი, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყავი. მახსოვს, ჩემ გარშემო ვინც მდიდარი იყო, დაბადების დღეს ყველა მაკდონალდსში იხდიდა. ყოველთვის მინდოდა, მაკდონალდსში საკუთარი წვეულების გადახდა შემძლებოდა, ახლა შემიძლია.

***– რა აქცენტებია თქვენს კოლექციაში?***

– კოლექცია ინტერნეტის ბნელ და უხილავ მხარეზე გავაკეთე, მაგრამ მოფიქრებული არ მქონდა, ჩვენება სად გამემართა. საღამოს ჩემს მეუღლესთან ერთად სახლში ვიყავი, ჩვენ ფილმებს ვუყურებდით და შემთხვევით ფილმი „ღამე მუზეუმში“ ჩაირთო. საკუთარ თავს ვუთხარი, ჩვენება პარიზის ევოლუციის მუზეუმში უნდა გავაკეთო. ინტერნეტი, სმარტფონები – რევოლუციაა, რომელმაც ჩვენს ევოლუციაზე დიდი გავლენა იქონია.

***– თქვენი ვიზუალი თუ აშინებთ ადამიანებს?***

– დიახ. ადამიანებს ხანდახან ეშინიათ იმის, თუ როგორ გამოვიყურები, ჩემი სილუეტი აფრთხობთ. ისინი განმსჯიან, რადგან ვერ ახერხებენ ჩემს რომელიმე კატეგორიაში მოქცევას, ფიქრობენ „ეს რა ჯანდაბაა? ვინაა ეს კაცი?“

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ რესტორანში ვიყავი პარიზში მეგობართან ერთად. როგორც წესი, მსგავს „პრესტიჟულ“ ადგილებში არასდროს დავდივარ, ძირითადად სახლში ვამზადებ საჭმელს. ჩაცმულობის გამო, რესტორანში არ უნდოდათ ჩემი შეშვება, ამბობდნენ „ჩვენთან ეს დაუშვებელია!“ თავიდან ფეხებამდე ბალენსიაგა მეცვა. ჩემმა მეგობარმა მათ უთხრა, რომ მასთან ერთად ვიყავი და მხოლოდ ამის მერე შემიშვეს.

ესაა ჩემი ცხოვრების ისტორია, მე ადამიანების არც ერთ ჯგუფსა თუ კატეგორიას არ მივეკუთვნები. ადამიანებს, რომლებიც ასეთ ადგილებში დადიან, არ აქვთ თავისუფლება, გამოიყურებოდნენ ისე, როგორც მათ სურთ და ვფიქრობ, მთელი ჩემი კარიერა მიეძღვნება საწინააღმდეგოს დამტკიცებას. მოგვიანებით რესტორნის მფლობელი შემოგვიერთდა და მასთან ვისაუბრე მომხდარზე, ვუთხარი „რა ჯანდაბა ხდება? შენს თანამშრომლებს უნდა აუხსნა, რომ 2021 წელია და ადამიანებს აღარ უნდა განვსჯიდეთ მათი სამოსის სილუეტის გამო“.

***– ასე ხშირად ხდება?***

– ყველგან ასეა, მანამ, სანამ გაიგებენ, თუ ვინ ვარ – ბალენსიაგას კრეატიული ხელმძღვანელი დემნა, არსად მიშვებენ, თუმცა, როდესაც იგებენ ვინ ვარ, ჩემი გარეგნობა მომენტალურად მისაღები ხდება. ეს ყველაზე დიდი უსამართლობაა, ეს მძულს და არ მინდა, ამის ნაწილი ვიყო. არასდროს ვიქნები ისეთი მშიერი, რომ საჭმელად სმოკინგი ჩავიცვა. უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ მაკდონალდსში ჩემი რეზინის ფეხსაცმლით წავალ. ეს არის ჩემი საოცნებო ცხოვრების სტილი.

***– შვეიცარიაში ცხოვრება რატომ აირჩიეთ?***

– შვეიცარიის ბუნება და ხალხი მომწონს. შვეიცარიელ ხალხს მაღალი შეგნება აქვს. თუ გინდა, თავზე კაბაშემოხვეულმა იარე, არაფერს გეტყვიან. ციურიხის ქუჩებში საღამოს რვა საათის შემდეგ ხმაური არ გამიგია. ქუჩები სუფთაა და უსაფრთხო, ამიტომაც საფრანგეთს და სხვა ქვეყნებს, შვეიცარიაში ცხოვრება ვარჩიე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ნიკოლოზ რაჭველმა უკრაინელების მხარდასაჭერად ორკესტრი საგანგებოდ შეკრიბა



ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ რაჭველმა უკრაინელი ხალხის, კოლეგების, მეგობრების და მათი სუვერენული სახელმწიფოსადმი თანადგომისა და მხარდაჭერის გამოსახატავად ორკესტრი საგანგებოდ შეკრიბა.

მუსიკოსებმა დირიჟორთან ერთად საქართველოსა და უკრაინის ჰიმნები შეასრულეს. ღონისძიებას შეუერთდა ნინო ქათამაძეც.

**ნიკოლოზ რაჭველი:**

– მშვიდობა და სოლიდარობა უკრაინას! ირაკლი ჩოლოყაშვილმა ერთი კვირის წინ შემომთავაზა ჰიმნების შესრულების იდეა და, აი, დადგა ის საზარელი დღე, როდესაც ასეთი მიზეზით მოგვიწია თავმოყრა და დაკვრა...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ღამე თევზაობა ჩირაღდნის საშუალებით; 2. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 3. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 4. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 5. შენობის სახურავად გამოყენებული თხელი ფიცარი ძველად; 9. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 11. ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 12. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი; 14. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 18. ქიმიური ელემენტი, აირი; 19. ზღვისპირა კურორტი ყირიმში.

**თარაზულად:** 4. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 5. ქვიშიანი უდაბნო შუა-აზიაში; 6. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 7. მაწანწალას, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 8. საჯდომი ნერვის ანთება; 10. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 13. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 15. ისრაელის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი უნგრელი მხატვარი; 17. დიდი ტანის აფრიკული ანტილოპა; 20. ცნობილი ქართული მეტალურგი, აკადემიკოსი; 21. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 23. კორიდის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*